საკვირო გაზეთი

№32/8 (391) • 26 აგვისტო, 2016 წ.• პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება

გიორგი კვირიკაშვილი:
8 ოქტომბერს გამარჯვებას ვიზეიმებთ

ციკლიდან: სააკაშვილის ოდესური „ოდისეა“

„ჩვენ ვერ გაგვტეხა გერმანელმა დამპყრობელმა, ვერ გაგვტეხავს ვერც ქართველი დამპყრობელი“

რომელი უნივერსიტეტების დახურვას გამოიწვევს ეროვნული გამოცდების თამასის აწევა?

გია კუჭავა:
ძალიან მიკვირს, რატომ არ ხსნიან არჩევნებიდან „ნაცმოძრაობას“ რომელიც არც მალავს, რომ პარტიის ლიდერი სხვა ქვეყნის მოქალაქეა?!

გადამგდები
„პატა“ ბურჭულაძემ თავისივე პარტია გადააგდო

თანამედროვე
ქართული საარჩევნო ზღაპრებიდან

ნაცმოძრაობის
ყაჩაღური სქემა, რომლის გამოც ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა

ვინ მოპარა
საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

გია კუჭავა:

ძალიან მიკვირს, რატომ არ ხსნიან არჩევნებიდან „ნაცმოძრაობას“?!

გვესაუბრება ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში, CAUCASIAN&ASIAN CITIZENS-ის მთავარი სპეციალისტი გია კუჭავა

— ამ დღეებში რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენის აფეთქების მცდელობა აღკვეთეს საქართველოს ტერიტორიაზე. რას ფიქრობთ, ეს დივერსიაა?

— რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, არ გამოვრიცხავ, რომ ყოველივე ეს სააკაშვილის დამქაშების მიერ ყოფილიყო ორგანიზებული. ამის დასტურად 2003 წლის მოვლენები გავიხსენოთ, როცა 5 ნოემბრის არჩევნების პერიოდში ძალიან ხშირად ხდებოდა ასეთი მოვლენები. ხელწერა ერთი და იგივეა. მაშინ გაზსადენზე კი არა, მაღალი ძაბვის ელექტროსადენებზე ხდებოდა თავდასხმები. არჩევნებამდე ერთი თვე, თვენახევრით ადრე მოაწყვეს ასეთი ინციდენტი: ელექტროგადამცემი ხაზი „ქართლი-1“ და „ქართლი-2“ დააზიანეს, რის გამო კარგა ხანი მთელ თბილისს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. გაცილებით მეტი დრო დასჭირდათ, რომ რეგიონებისთვის დენი მიეწოდებინათ.

— გასაგებია, ბატონო გია, მაგრამ არ მინდა სკეპტიკოსები შემოგვედაონ — ყველაფერს ნაციონალებს აბრალებთო. ამიტომ გკითხავთ, რატომ შეიძლება აწყობდეს დღეს „ნაცმოძღაობის“ წარმომადგენლებს ენერგომატარებლების დაზიანება საქართველოში?

— მოგეხსენებათ, არჩევნები ახლოვდება. მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა, კომპრომატების წარმოდგენა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური პირებისთვის. არეულობების გამოწვევით „ნაცმოძრაობას“ ექნება საბაბი, ხელისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკოს, რომ ძალოვანი სტრუქტურები ვერ აკონტროლებენ ვითარებას, ქვეყანაში არიან უცხო ქვეყნის აგენტები და დაცული არაა ქვეყნის უსაფრთხოება, აქ იმყოფებიან ტერორისტები და „ნაცმოძრაობა“ რომ იყოს ხელისუფლებაში, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

არ არსებობს ლოგიკა თინა ხიდაშელის განცხადებაში, როცა თქვა: არ შეიძლება ყველაფერი სააკაშვილს დაბრალდეს, ნუ ვიშვერთ ხელს უკრაინისკენ და უკრაინის სპეცსამსახურებისკენო. დაახლოებით ერთი წლის წინ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა: მიხეილ სააკაშვილი საქართველოსთვის საუკეთესო პრემიერ-მინისტრი იქნებოდაო. ისევ ვერსიების დონეზე რომ ვილაპარაკოთ, დესტაბილიზაცია და დივერსიული ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე უკრაინის სპეცსამსახურების ინტერესიც შეიძლება იყოს, მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკოსა და სააკაშვილის ურთიერთობა დღეს აღარ არის ისეთი, როგორიც ადრე იყო.

ახლახან ნაციონალები პოლიციელებსაც მიუვარდნენ ლოზუნგით — არა პოლიციას! ესეც „ნაცმოძრაობის“ ძველი სატელიტის, „კმარას“ მეთოდებს ჰგავს.

— პოლიციაზე თავდასხმის გამო არავინ დაუკავებიათ. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— მეც ეგ მაინტერესებს. აქტივისტები, რომლებიც პოლიციის მანქანებს საღებავებს ასხამდნენ და „არა პოლიციას“ გაიძახოდნენ, რატომღაც არ დაუსჯიათ.

— წინასაარჩევნოდაც შეიძლება მოველოდეთ არეულობებს?

— არ გამოვრიცხავ. ადვილი შესაძლებელია, „ნაცმოძრაობას“ ჰქონდეს გადანახული რესურსები, რომ მოაწყონ პროვოკაციები ან არჩევნების წინ, ან არჩევნების მერე.

ხელისუფლება არავითარ დათმობაზე არ უნდა წავიდეს და ყველა ეჭვმიტანილი პირი, რომელიც შეიარაღებული გამოსვლისთვის ემზადება, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დაპატიმრებული უნდა იქნას. ჩემი ვარაუდით, პროცესები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნიდან, არამედ ქვეყნის გარედან იმართება და ყველაფერი ამის თავი და თავი ოდესაში ზის.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: არსებულმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, საშუალო და ქვედა რგოლებში დასაქმებული „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები არ გაათავისუფლეს სამსახურებიდან. ისინი ახლა ეწევიან საბოტაჟს და გააქვთ ინფორმაცია ქვეყნის გარეთ დაინტერესებული პირებისთვის.

„ქართულმა იცნებამ“ კი აიღო პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ ეკონომიკური ბერკეტები კვლავ „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების ხელში დარჩა. მოგეხსენებათ, დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს ფული.

მიხეილ სააკაშვილი კი, რომელიც დღეს ოდესაში იმყოფება, დიდძალ თანხებს აკონტროლებს. იქ უფრო მეტი ფული შედის, ვიდრე მთელ საქართველოში და ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი ხერხით კვლავ დასაბრუნებლად სააკაშვილი რამდენ თანხას აგზავნის, ამის გამოვლენა ქართული სპეცსამსახურების პრეროგატივაა.



ძებნილი მიხეილ სააკაშვილი ყოველ კვირა „რუსთავი-2“-ის ეთერიდან კვლავ თავის მომხრეებს მიმართავს და მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას. ის გახლავთ უცხო ქვეყნის მოქალაქე და ჩვენი კანონმდებლობით, კატეგორიულად არის აკრძალული ასეთი პირის საარჩევნო პროცესებში რამენაირად ჩართვა, მით უფრო, აგიტაციის თვალსაზრისით.

მე ძალიან მიკვირს, რატომ არ არის მოხსნილი საარჩევნო პროცესებიდან „ნაცმოძრაობა“, რომელიც არც მალავს, რომ პარტიის ლიდერი სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

საინტერესოა ასევე, ექსპრეზიდენტის მეუღლის სანდრა რულოვსის საკითხიც. გარკვეულია თუ არა, როდის გადაკვეთა მან საქართველოს საზღვარი და როდის დაბრუნდა კვლავ ქვეუანაში, რადგან, მოგეხსენებათ, პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში სისტემატურად უნდა ცხოვრობდეს იმ ქვეყანაში, სადაც კენჭს იყრის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გადამგდები

„პატა“ ბურჭულაძემ თავისივე პარტია გადააგდო

პაატა ბურჭალაძე თავისივე პარტია დატოვა და ვაშაძე-ჯაფარიძე-კაციტაძის გაერთიანებას შეუერთდა...

ჰო, პაატა ბურჭულაძემ თავისივე პარტია დატოვა... აბა, პარტიამ არ მოისურვა ნაცების სატელიტებთან გარიგებაზე წასვლა, პარტიის წევრებმა ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს პარტია და დარჩა პაატა თავის ახალ ბლოკთან მარტოდმარტო...

ფეისბუქში ერთი ენამოსწრებული მომხმარებელი წერდა: პაატა ასობგერა „ა“-მაც დატოვა და პატა დარჩაო...

მაგრამ ვაშაძე-კაციტაძე-ჯაფარიძე ამოუდგნენ გვერდში და გაამხნევეს...

მართალია, ბურჭულაძემ განაცხადა, ახალ ბლოკთან ერთად მომავლის გეგმებს განვიხილავთო, მაგრამ განსახილველი არც არაფერია, აკი „გირჩმა“ არაერთხელ განაცხადა, არჩევნებში მხოლოდ ჩემი პროგრამით წარვსდგებითო...

ჰოდა, რა მისცა პაატამ ბლოკს და რას მისცემს ბლოკი პაატას?

პაატამ განაცხადა ბლოკს მივუტანე წნეხიო... ჩემს პარტიელებს მუდამ ატერორებდნენ და აშინებდნენ და იმიტომ მიმატოვეს, იმ წნეხს კი, რასაც აქამდე მხოლოდ ვიტანდი ასე გმირულად, ახლა ჩემს ახალ თანაგუნდელებზე გადანაწილდებაო...

რომელ წნეხზე საუბრობთ, ბატონო პაატა? ნაციონალების სატელიტები კი არა, თავად ნაციონალები ვერ საუბრობენ წნეხსა და ტერორზე ამ არჩევნების წინ...

გაუტკბა ბატონ პაატას, ეშხში შევიდა და ეგ რა არისო, საერთოდაც ყველა მთავრობა მე მაწიოკებსო... ყველა მე მებრძოდაო... და ვერ მომერიაო...

„ნაცები“ გემტერებოდნენ და ვერ მოგერივნენ - ჰაჰაჰაა... ნაცები ადამიანებს ტელევიზიებს ახევდნენ, ურჩ ბიზნესმენებს სახეს ახევდნენ, ბადრი პატარკაციშვილს ქონებას ახევდნენ და თქვენ როგორ ვერ მოგერიეს, აბა, მითხარით? იქნებ, რამე წამალი გაქვთ გამოგონილი „პროწივ ნაცა“ და გაგვიმხილეთ რეცეპტი...

„ნაცების“ დროს, ან მათთან ერთად უნდა ყოფილიყავი, ან არ უნდა ყოფილიყავი საერთოდ, ვინც ბაბას - არ ეძახდა, დათვი ერეოდა, ვინც ბაბას ეძახდა, დათვთან ერთად ჭამდა და ეძინა... ჰოდა, ბაიათების მოსმენა თუ მომინდება, საიათნოვას მოვუსმენ, უკეთ გამოსდის და თუ პოლიტიკაზე და საქმეზე გსურთ საუბარი, მაშინ ცოტა დავსერიოზულდეთ...

ჰოდა, დასერიოზულდა ბატონი პაატა, მიატოვა ის იდეოლოგია, ის დაპირებები, რომელთა გარშემოც თანაგუნდელები შემოიკრიბა, მიატოვა პარტია თავისი წევრებიანად და ისკუპა... ისკუპა და ნაცების სატელიტ ბლოკში მოადინა ზღართანი... რაღა დროსია იმაზე საუბარი, ჩვენ თავიდანვე ვიცოდით რა ჩიტიც ბრძანდებოდა, ბატონი ბანი, და ვამბობდით კიდევაცო... მაგრამ, სანამ ისკუპებდა, პატონმა პაატამ ცილი დაგვწამა, და არც ისეთი ილომპიური ნახტომი გამოსვლია, რომ პასუხის გაცემა გადავიფიქროთ...

მოკლედ, ვიღაცეები ზეწოლას ახდენენ თურმე მსოფლიო ბანზე, რომლის ხმაც, სამწუხაროდ, უკვე წიკვინს დაემსგავსა, ვიღაცეები აშანტაჟებენ და ვიღაცეებს თურმე ფული გადაუხადეს, რომ პაატაზე დაეწერათ... თან იმდენი გადაუხადეს, რომ იმ ფულით რამდენიმე ათეულ სახლს იყიდდა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის...

პირველი მე გახლდით, ვინც „საერთო გაზეთის“ ფურცლიდან პაატა ბურჭულაძე ამხილა... პირველები ჩვენ ვიყავით, ვინც მისი ორგანიზაციის ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნებას ითხოვდა... პრინციპში, პირველიც, მეათეც და ბოლოც ჩვენ ვართ, ვინც კონკრეტულ გადაგდებულ ოჯახსა და ადამიანებზე ესაუბრება სახელ-გვარებით, ანუ, ბატონი პაატა ჩვენ მოგვმართავს... გაზეთს და მე მომმართავს და მიწოდებს ცილისმწამებელს... ოღონდ, უბრალოდ ცილისმწამებელს კი არა, მოქრთამულ ცილისმწამებელს... გადამიხადეს, თურმე, მე... გადამიხადეს ცამეტი ვერცხლით კი არა, ბევრი დოლარით თუ ლარით...

მესამედ მიწევს იმ 8 სულიან ოჯახზე საუბარი, რომელიც, უკვე ღიად შემიძლია ვთქვა, რომ „იავნანამ“ გადააგდო... ვისაც წინა წერილები არ უნახავს, მათთვის, მოკლედ მოვყვები საქმის არსს: გიორგი ბარაშვილმა, რომელიც 6 შვილთან ერთად ნგრევის პირას მისულ ორ პაწაწუნა ოთახში ცხოვრობს, წერილი მისწერა ფონდ „იავნანას“... გამოხდა ხანი და „იავნანამ“ ანაზდად უპასუხა... უპასუხა და სახლის მოძებნა დაავალა... შემდეგ კი სამი წარმომადგენელი გაგზავნა ამ ოჯახისა და გასაყიდი სახლის სანახავად... წარმომადგენლებს მხოლოდ ბარაშვილები კი არა, მთელი სოფელი დახვდა იმედით...

„იავნანას“ წარგზავნილებმა ბევრი დაპირება გასცეს, წამოიღეს ბარაშვილების მიერ წინასწარ შეგროვებული დოკუმენტები (ფონდ „იავნანას“ მოთხოვნით შეგროვებული დოკუმენტები), ბავშვებს სახლის ფონზე გადაუღეს ფოტოები (ამერიკელ დეიდას უნდა გავუგზავნოთო, ისიც მომღერალია და თანხის ნახევარს ის გადმორიცხავსო), თან პატარებს ეკითხებოდნენ, თურმე, ხომ კარგია სახლია, ამ ეზოში ხომ კარგად ითამაშებთ და ხომ გიხარიათო... მერე, ისადილეს ამ გაჭირვებულ ოჯახში, სადაც ერთი ცალი შოკოლადიც კი არ ჩაუტანიათ დედაქალაქიდან, შეხრეს მათი სამი კვირის საკვების მარაგი, დატოვეს იმედი და წამოვიდნენ...

როცა გ. ბარაშვილმა „იავნანაში“ დარეკა, უთხრეს, ვინ ხარ, ასე გმირულად, ახლა ჩემს ახალ თანაგუნდელებზე გადანაწილდებაო...

რომელ წნეხზე საუბრობთ, ბატონო პაატა? ნაციონალების სატელიტები კი არა, თავად ნაციონალები ვერ საუბრობენ წნეხსა და ტერორზე ამ არჩევნების წინ...

გაუტკბა ბატონ პაატას, ეშხში შევიდა და ეგ რა არისო, საერთოდაც ყველა მთავრობა მე მაწიოკებსო... ყველა მე მებრძოდაო... და ვერ მომერიაო...

„ნაცები“ გემტერებოდნენ და ვერ მოგერივნენ - ჰაჰაჰაა... ნაცები ადამიანებს ტელევიზიებს ახევდნენ, ურჩ ბიზნესმენებს სახეს ახევდნენ, ბადრი პატარკაციშვილს ქონებას ახევდნენ და თქვენ როგორ ვერ მოგერიეს, აბა, მითხარით? იქნებ, რამე წამალი გაქვთ გამოგონილი „პროწივ ნაცა“ და გაგვიმხილეთ რეცეპტი...

„ნაცების“ დროს, ან მათთან ერთად უნდა ყოფილიყავი, ან არ უნდა ყოფილიყავი საერთოდ, ვინც ბაბას - არ ეძახდა, დათვი ერეოდა, ვინც ბაბას ეძახდა, დათვთან ერთად ჭამდა და ეძინა... ჰოდა, ბაიათების მოსმენა თუ მომინდება, საიათნოვას მოვუსმენ, უკეთ გამოსდის და თუ პოლიტიკაზე და საქმეზე გსურთ საუბარი, მაშინ ცოტა დავსერიოზულდეთ...

ჰოდა, დასერიოზულდა ბატონი პაატა, მიატოვა ის იდეოლოგია, ის დაპირებები, რომელთა გარშემოც თანაგუნდელები შემოიკრიბა, მიატოვა პარტია თავისი წევრებიანად და ისკუპა... ისკუპა და ნაცების სატელიტ ბლოკში მოადინა ზღართანი... რაღა დროსია იმაზე საუბარი, ჩვენ თავიდანვე ვიცოდით რა ჩიტიც ბრძანდებოდა, ბატონი ბანი, და ვამბობდით კიდევაცო... მაგრამ, სანამ ისკუპებდა, პატონმა პაატამ ცილი დაგვწამა, და არც ისეთი ილომპიური ნახტომი გამოსვლია, რომ პასუხის გაცემა გადავიფიქროთ...

მოკლედ, ვიღაცეები ზეწოლას ახდენენ თურმე მსოფლიო ბანზე, რომლის ხმაც, სამწუხაროდ, უკვე წიკვინს დაემსგავსა, ვიღაცეები აშანტაჟებენ და ვიღაცეებს თურმე ფული გადაუხადეს, რომ პაატაზე დაეწერათ... თან იმდენი გადაუხადეს, რომ იმ ფულით რამდენიმე ათეულ სახლს იყიდდა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის...

პირველი მე გახლდით, ვინც „საერთო გაზეთის“ ფურცლიდან პაატა ბურჭულაძე ამხილა... პირველები ჩვენ ვიყავით, ვინც მისი ორგანიზაციის ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნებას ითხოვდა... პრინციპში, პირველიც, მეათეც და ბოლოც ჩვენ ვართ, ვინც კონკრეტულ გადაგდებულ ოჯახსა და ადამიანებზე ესაუბრება სახელ-გვარებით, ანუ, ბატონი პაატა ჩვენ მოგვმართავს... გაზეთს და მე მომმართავს და მიწოდებს ცილისმწამებელს... ოღონდ, უბრალოდ ცილისმწამებელს კი არა, მოქრთამულ ცილისმწამებელს... გადამიხადეს, თურმე, მე... გადამიხადეს ცამეტი ვერცხლით კი არა, ბევრი დოლარით თუ ლარით...

მესამედ მიწევს იმ 8 სულიან ოჯახზე საუბარი, რომელიც, უკვე ღიად შემიძლია ვთქვა, რომ „იავნანამ“ გადააგდო... ვისაც წინა წერილები არ უნახავს, მათთვის, მოკლედ მოვყვები საქმის არსს: გიორგი ბარაშვილმა, რომელიც 6 შვილთან ერთად ნგრევის პირას მისულ ორ პაწაწუნა ოთახში ცხოვრობს, წერილი მისწერა ფონდ „იავნანას“... გამოხდა ხანი და „იავნანამ“ ანაზდად უპასუხა... უპასუხა და სახლის მოძებნა დაავალა... შემდეგ კი სამი წარმომადგენელი გაგზავნა ამ ოჯახისა და გასაყიდი სახლის სანახავად... წარმომადგენლებს მხოლოდ ბარაშვილები კი არა, მთელი სოფელი დახვდა იმედით...

„იავნანას“ წარგზავნილებმა ბევრი დაპირება გასცეს, წამოიღეს ბარაშვილების მიერ წინასწარ შეგროვებული დოკუმენტები (ფონდ „იავნანას“ მოთხოვნით შეგროვებული დოკუმენტები), ბავშვებს სახლის ფონზე გადაუღეს ფოტოები (ამერიკელ დეიდას უნდა გავუგზავნოთო, ისიც მომღერალია და თანხის ნახევარს ის გადმორიცხავსო), თან პატარებს ეკითხებოდნენ, თურმე, ხომ კარგია სახლია, ამ ეზოში ხომ კარგად ითამაშებთ და ხომ გიხარიათო... მერე, ისადილეს ამ გაჭირვებულ ოჯახში, სადაც ერთი ცალი შოკოლადიც კი არ ჩაუტანიათ დედაქალაქიდან, შეხრეს მათი სამი კვირის საკვების მარაგი, დატოვეს იმედი და წამოვიდნენ...

როცა გ. ბარაშვილმა „იავნანაში“ დარეკა, უთხრეს, ვინ ხარ, მხოლოდ საიუბილეო, სარეკლამო ტექსტი დაიბეჭდაო...

რამდენი ტყუილი დავითვალოთ?

რამდენი ზონდერი გამოგიაშკარავოთ?

რამდენჯერ გიხსენოთ ის 6 ბავშვი, რომელიც სოროდან გამოიყვანეთ ფოტოების გადასაღებად გასაყიდი კარ-მიდამოს ფონზე და ისევ სოროში დააბრუნეთ? მით უფრო, რომ თქვენც იმ რაიონიდან ბრძანდებით, რომელ რაიონშიც ბარაშვილების ოჯახი ცხოვრობს...

რაც შეეხება ჩემთვის გადახდილ ფულს, გურული კაცი ბრძანდებით და წყევლა არ გაგიკვირდებათ: ისე გადაეხადოთ თქვენთვისაც, როგორც მე გადამიხადეს... მობრძანდით და ჩემი პატარა ნაქირავები ბინა ნახეთ, ნახეთ, როგორ ვაკოწიწებ ჩემი ასთმიანი შვილისთვის წამლის ფულს და ჩემთვის გადახდილი მილიონებიც სად დევს, ბარემ მიმასწავლეთ, კარგი საქმისთვის გამოვიყენებ ნამდვილად...

ისე, რომ იცოდეთ, ბატონებო და ქალბატონებო... ჩემი წერილების ადრესატი არ არის მხოლოდ პაატა ბურჭულაძე... მე მასთან არც მტრობა მაქვს და უფრო მეტიც, არც კი ვიცნობ პირადად... ერთადერთი მხარე, რომელ მხარეს ვდგავარ - სიმართლეა.. როცა პირველად დავწერე ბარაშვილების ოჯახზე, მეგონა დიდი გამოხმაურება მოყვებოდა და მოყვა კიდეც... მირეკავდნენ მოქალაქეები, რომლებიც წუხდნენ, განიცდიდნენ და ამბის წვრილმანები აინტერესებდათ... მაგრამ, არც ერთი ზარი არ შემოსულა იმ ადამიანებისგან, რომელთაც შეუძლიათ ამ ოჯახის დახმარება... შეუძლიათ და არ ეხმარებიან...

ბარაშვილების უფროსი ქალიშვილი, ქრისტინე, საკმაოდ წარმატებული სპორტსმენია... იგი მინდვრის ჰოკეის 12 საუკეთესო გოგონათა შორის დასახელდა და საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა ცოტა ხნის წინ ჩეხოსლავაკიაში გამართულ ჩემპიონატზე, სადაც გუნდს მეოთხე ადგილი მოაპოვებინა... ეს გოგონა სულ ორიოდე წელია ამ სპორტითაა დაკავებულია, მომავალ წელს კი უფრო გაზრდილი, უკეთ ნავარჯიშევი, გამოცდილებამიღებული, არგენტინაში გაემგზავრება და იქ გვასახელებს...

... და ამ გოგონას არა თუ სახლი, ფოტოაპარატიც არა აქვს რომ სურათი გადაიღოს თანაგუნდელებთან ერთად... როცა გაზეთისთვის ფოტო ვთხოვე, მითხრა, ხვალ მეზობელს დაველაპარაკები, მოვა თავისი აპატარით და გადაგვიღებს სურათებსო... მე არ მაქვს პაატა ბურჭულაძის იმედი, მე არც ის მილიონები მაქვს, რომელიც, როგორც ბატონი პაატა ამბობს, სადღაც გადმოურიცხავთ ჩემთვის და ვერ ვპოულობ... ამიტომ, ჩემს მკითხველებს მივმართავ, თუ რომელიმე თქვენგანს დახმარება შეგიძლიათ, არის ასეთი გოგონა, ხუთი ასეთივე არაჩვეულებრივი და-ძმით, რომელსაც თქვენი დახმარება სჭირდება...

მოვა დრო. ეს გოგონა აუცილებლად გვასახელებს, მოვა დრო, მას ბევრ ინტერვიუს ჩამოართმევენ, მოვა დრო, მედალს შეგვმატებს და იქნებ, ოდესმე, იმის დროც დადგეს, რომ სადმე, თუნდაც შემთხვევით გადააწყდება „ქველმოქმედს“, რომელმაც გადააგდო და სიღატაკისთვის გასწირა... მანამდე კი, ბატონი „პატა“ (როგორც ფეისბუქში შეარქვეს და მინდა გითხრათ, მომწონს) განაგრძობს გადაგდებებს... ჯერ 8 სულიანი ოჯახი გადააგდო, მერე „იავნანა“ მიაყოლა, როცა მის მენეჯერს ტყუილის თქმა აიძულა, შემდეგ თანაგუნდელები და ის პრინციპები დაავიწყდა, რითაც თავს იწონებდა და „გვაბოლებდა“ და მისი მარიფათიანობის ამბავს რომ ვუყურებ, არც ბლოკს დააყრის დიდ ხეირს...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

რომელი უნივერსიტეტების დახურვას გამოიწვევს ეროვნული გამოცდების თამასის აწევა?

განათლების მინისტრის ინიციატივას ბევრი კერძო უნივერსიტეტი შეეწირება. შესაძლოა, რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტს კონტინგენტი გაუნახევრდეს და მუშაობა გაკოტრების რეჟიმში გააგრძელოს

ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აიწევს- მომავალი აბიტურიენტებისთვის არც თუ ისე სასიამოვნო ინიციატივის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა. ალექსანდრე ჯეჯელავას თქმით, შემთხვევითი ჩარიცხვის ალბათობის შესამცირებლად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერის ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. „ერთიან ეროვნულ გამოცდებში უნდა გაგრძელდეს ბარიერის ზრდა. კიდევ უფრო უნდა აიწიოს ბარიერი. სამი წლის წინ 21 ქულა იყო გადასალახი. ახლა გვაქვს 24 ქულა. ის კიდევ უნდა ავწიოთ, რომ შემთხვევით ჩარიცხვის ალბათობა შევამციროთ. ხალხმა ინერვიულა, ეროვნულ გამოცდებში 16% რომ ჩაიჭრა. გერმანიაში 50% იჭრება. უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი თამასაა. ისინი ამბობენ,რომ ყველა უმაღლესში არ უნდა წავიდეს, უმაღლესში უნდა წავიდეს ყველაზე „ნავაროჩენი“, ყველაზე მცოდნე ხალხი.“„უმაღლესში მთავარი პრობლემა დაწეული პლანკაა. ძალიან ბევრს ვუშვებთ უმაღლესში, როცა უმაღლესი იმის უმაღლესია, რომ იქ ძალიან ნარჩევი ხალხი უნდა იყოს.“ - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ. მინისტრის ინიციატივას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა: ნაწილს ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივა დროული და გამართლებული ჰგონია, ნაწილი კი ფიქრობს, რომ სასკოლო განათლების სტაგნაციის პირობებში, ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნის გაზრდა სკოლას საბოლოოდ დაუკარგავს ფუნქციას, რეპეტიტორების ინსტიტუტს გააძლიერებს და ხელმოკლე ოჯახის შვილებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მოუსპობს. მინისტრის ინიციატივა თუ განხორციელდა, ელიტარული უმაღლესი განათლება მხოლოდ ერთეულებისთვის იქნება ხელმისაწვდომი - ფიქრობენ მომავალი აბიტურიენტების მშობლები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერის აწევას დიდი ხანია ითხოვს განათლების ექსპერტი **მანანა ნიკოლაიშვილი**, ამიტომ ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივაზე სასაუბროდ დავუკავშირდით.

— განათლების მინისტრის განცხადებას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის აწევის შესახებ, არა თუ ვეთანხმები, არამედ, მე ვარ ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე ამას ვითხოვდი. გემახსოვრებათ, რომ ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სასკოლო შეფასების ათობით შკალაზე გადმოვიტანე და გამოვიანგარიშე, რომ ვერც ერთ საგანში, ხუთ ქულას ანუ დადებით შეფასებას ვერ აღწევს. სხვა საუბრის თემაა, რომ შეფასების ათობითი შკალა მოუქნელი და პრაქტიკულად უაზროა, რადგან არ შეიძლება ოთხი არადამაკმაყოფილებელი შეფასება არსებობდეს, მაგრამ რადგან სკოლაში ათობითი სისტემა გვაქვს, მისაღებ გამოცდებზე ათობითი სისტემით თუ არა, მისი შესაბამისი შკალით უნდა შევაფასოთ. დღევანდელი მოცემულობით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერც ერთ საგანში, რომელიც ეროვნულ გამოცდებზე ბარდება, ათობითი შკალის ხუთ ქულას ვერ აღწევს. ორი მთელი, სამი მთელი და მეათედები და ა.შ. აი, ეს არის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა. უფრო სწორად, უვიცობა და უცოდინარობა. სამწუხაროდ, საქართველოს უნივერსიტეტებში მოდიან უვიცი და უცოდინარი ბავშვები არადამაკმაყოფილებელი ცოდნით, რაც ეროვნული ინტერესების და ქვეყნის მომავლის წინააღმდეგ მუშაობს, რადგან სახლს საძირკვლის გარეშე ვერ ააშენებ. ეს არის დანაშაული, რომელსაც სახელმწიფო წლების განმავლობაში ნიღბავს.

— ვინ და რატომ უნდა მალავდეს სამწუხარო რეალობას?

— ეს მეც მაინტერესებს. რატომ არის ასეთი მინიმალური კომპეტენცია? ვინ უთხრათ, ვინ დაავალათ? რატომ არ არის შესაბამისობაში ეროვნული გამოცდების შეფასება ათობით შკალასთან? შეგახსენებთ, რომ წელს სკოლა დაამთავრეს „საკაშვილის თაობის ბავშვებმა“, რომლებიც სკოლაში 2004 წელს შევიდნენ. ეს ის თაობაა, რომელსაც წინა ხელისუფლებამ თავი სექსუალური რევოლუციით და ათასი სისულეეებით გამოუტენა და წიგნს მოწყვიტა. დიახ, უმაღლეს სასავლებელში უნდა შევიდეს მცოდნე და ელიტური ცოდნის მატარებელი ახალგაზრდობა და არა ის ბავშვები, რომლებიც 24 საათი კომპიუტერში სხედან და ქართულად წერა-კითხვა დაავიწყდათ. ეს რეალობა უნდა შეიცვალოს და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველა საგანში უნდა აიწიოს!

— სკოლა თუ აძლევს ბავშვს მაღალი კომპეტენციის ზღვარის დასაძლევ განათლებას?

— სრულიად ლეგიტიმური კითხვაა და პირდაპირ გეტყვით, რომ არ აძლევს, მაგრამ რასაც აძლევს, ბავშვები იმასაც არ სწავლობენ. მიუხედავად ამისა, მე ახალგაზრდობას არაფერში ვადანაშაულებ. როგორი საზოგადოებაც გვაქვს, სკოლა ისეთივეა, საზოგადოება კი არასწორი მიმართულებით ვითარდება. არც ერთ სფეროში, არც ერთ დარგში, არც ერთ უწყებაში ახალგაზრდების დასაქმება ნიჭის, შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით არ ხდება. აღარ დამთავრდა საქართველოში ნეპოტიზმი, ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, ძმაკაცობა და ნაცნობობა. სამსახურებში კი არა, საპარლამენტო სიებშიც კი ნაცნობობისა და მეგობრობის ნიშნით ვარჩევთ ადამიანებს, ამიტომ ახალგაზრდა, რომელიც ხედავს, რომ ცოდნა არ ფასობს და პროფესიონალიზმს ყურადღება არ ექცევა, სწავლის მოტივაციას კარგავს. ასე გაგრძელება შეუძლებელია, ამიტომ ალექსანდრე ჯეჯელავას ყველაფერში ვეთანხმები.

— ქალბატონო მანანა, როცა მისაღებ გამოცდებზე მოთხოვნა იზრდება და სკოლაში განათლების ხარისხი არა, ეს ავტომატურად იწვევს რეპეტიტორის ინსტიტუტის გაძლიერებას.

— რა თქმა უნდა, თუმცა რეპეტიტორის ინსტიტუტი ისედაც გაძლიერებულია და ამ სფეროში არავითარი კონტროლი არ არსებობს. გაიხსნა 10 ლარიანი, 20 ლარიანი და 25 ლარიანი მოსამზადებელი კურსები, რომლებიც მშობლებს უკანასკნელ კაპიკებს სძალავენ და ცოდნას ვერ აძლევენ. რეალურად, ეს იაფი კურსები ფულის წყალში გადაყრაა და ამდენი ბავშვის ჩაჭრაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე სწორედ ეს კურსები და არაპროფესიონალი რეპეტიტორებია. დღეს ყველა ამზადებს, ვისაც ელემენტალური წერა-კითხვა შეუძლია. უვიცი რეპეტიტორების და არაკვალიფიციური მოსამზადებელი ცენტრების წყალობით, საატესტატო გამოცდებზე იმდენი ბავშვი ჩაიჭრა, რომ სახელმწიფოს სტატისტიკის დამალვა მოუწია.

— გამოდის, რომ ვისაც კვალიფიციური რეპეტიტორის დასაქირავებელი ფული არა აქვს, უმაღლესი განათლების მიღებაზე არ უნდა იოცნებოს, მაგრამ გაუგებარია, სკოლას, რომელშიც არაფერი შეცვლილა, რა ფუნქცია აკისრია?

— თქვენ აბსოლუტურად სწორად სვამთ აქცენტებს- სკოლაში არაფერი შეუცვლილა და რაც უფრო მეტი დრო გავა, ვითარება უფრო გაუარესდება. რაც შეეხება ხელმოკლე აბიტურიენტებს, ვერ დაგეთანხმებით, რადგან ხშირად, რაიონებში მაცხოვრებელი და უფულო ოჯახებიდან გამოსული აბიტურიენტები იღებენ უმაღლეს შეფასებას, თუმცა თავის ჩამონათვალში ალექსანდრე ჯეჯელავამ რაღაცეები აუცილებლად უნდა ჩაამატოს. ერთი ის, რომ ის, სკოლაში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს უნარები. ეს მარტო ჩემი კი არა, პატიარქის მოთხოვნაა, რომელსაც არ ასრულებენ. მეორე ის, რომ როცა უცხო ენებში ამხელა მოთხოვნებს აყენებ, უნდა იცოდე, რომ ასეთ შედეგს ორი და სამი საათი ვერ მოგცემს. უცხო ენაში წლების განმავლობაში თუ არ ემზადება, აბიტურიენტი დღეს არსებულ მინიმალურ კომპეტენ-

ციასაც ვერ დაძლევს. ზუსტად ეს არის იმის მიზეზი, რომ უცხო ენაში დაწესებული ბარიერი 6500-მა აბიტურიენტმა ვერ გადალახა. შესაბამისად, უცხო ენებში უნდა გაიზარდოს სასწავლო საათების რაოდენობა.

— თქვენი აზრით, რატომ არ გაამართლა აბიტურიენტების დასახმარებლად სკოლებში გახსნილმა უფასო აბიტურის საათებმა?

— იმიტომ, რომ ერთ საათიანი მეცადინეობა არც ერთ საგანში საკმარისი არ არის. აბიტურს მინიმუმ 2 საათი და მეტი უნდა ეთმობოდეს და მარტო დამამთავრებელ კლასში კი არა, მე-10 კლასიდან უნდა ტარდებოდეს. ამის გარდა, სკოლაში უნდა იყოს ფასიანი, საგნობრივი წრეები. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ სასკოლო ოლიმპიადებში უმეტესად სამი სკოლის: კომაროვის, ილია ვეკუასა და ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მატემატიკური პროფილის სკოლების მოსწავლეები იმარჯვებენ. ასეთ შედეგს კი იმით აღწევენ, რომ ამ სკოლებში მაპროფილებელი საგნების გაძლიერებულად სწავლების გარდა, წრეობრივი მუშაობაც მიმდინარეობს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლამდე, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ნიჭის, უნარებისა და მოტივაციის მქონე ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის სკოლები არსებობდა. გვქონდა ლიცეუმები, კოლეჯები, პროფილური და საავტორო სკოლები. ნაციონალებმა ხელის ერთი მოსმით ყველაფერი გააუქმეს, კანონით აკრძალეს და მხოლოდ საჯარო სკოლები დატოვეს, რითაც ნიჭიერ ბავშვებს განვითარების შესაძლებლობა მოუსპეს. ამიტომ ვამბობ, რომ ნაციონალების დანაშაულებრივი „ზოგადი განათლების კანონი“,შესაცვლელია. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიგოს, რომ ამ კანონით და ეროვნული სასწავლო გეგმით კონკურენტუნარიანი განათლების მიღება შეუძლებელია. მინისტრმაც აღიარა, შარში ვართო, მაგრამ ეს მხოლოდ მათემატიკის სწავლებაზე თქვა. რეალურად კი ყველა საგანში ასეთი სიტუაციაა.

— მარტო აღიარება საქმეს ვერ უშველის. მთავარია, ამ „შარიდან“ გამოსავალი გზები მოვძებნოთ.

— ამას არანაირი დროში გაწელვა და ეროვნული სასწავლო გეგმის გადამუშავება არ ჭირდება. ეროვნული სასწავლო გეგმა მთლიანად დასანგრევი და შესაცვლელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია რა იგულისხმება ღრმა რეფორმებში, რომლებზეც პრემიერ მინისტრი საუბრობს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ წლევანდელი აბიტურიენტების უმეტესობა სკოლაში 2004 წელს შევიდა. სწორედ ამ წელს ამოქმედდა ის გამანადგურებული სასწავლო გეგმა, რომელმაც კატასტროფულად შეამცირა სასწავლო საათები და რომელსაც მე და თქვენ წლების განმავლობაში ვაკრიტიკებდით. დღეს სააკაშვილის რეფორმებით დაზარალებული ახალგაზრდები, ამის გამო „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო უვიცობის დამკვიდრებაში მთავარი დამნაშავეები ნაციონალები არიან, პასუხისმგებლობას ვერც დღევანდელი ხელისუფლება გაექცევა, რადგან სააკაშვილის დანაშაულებრივი რეფორმა შეინარჩუნა.

— განათლების სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებზე და 2016-2017 სასწავლო წლიდან ახალი სასწავლო გეგმის დანერგვას აპირებს.

— კი ბატონო, ოთხი წელი რომ დაწყებითებს მოუნდები, ზედა კლასები როდის უნდა დაიწყო? არის ამდენი დრო? სასწრაფოდ უნდა შეიქმნას რამდენიმე კაციანი კომპეტენტური კომისია, რომელიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენაზე იმუშავებს. სასწავლო საათების რაოდენობა უნდა დაბრუნდეს ნიშნულზე, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე იყო. უსარგებლო და არაფრისმომცემი საგნები უნდა „ამოყარონ“ და მათი საათები სხვა საგნებს დაუმატონ. უნდა შეცვალონ სასწავლო პროგრამები, საგნობრივი კონცეფციები, საგნობრივი სტანდარტები და სახელმძღვანელობი. შესაცვლელია სახელმძღვანელოების გრიფირების წესი და კონკურსებიც. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე ავტორი ადგენდეს სახელმძღვანელოებს პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით. არ არის საჭირო, რომ ამოცანათა კრებულებიც სახელმძღვანელოს ავტორმა დაწეროს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებით განათლებაში, ყველაზე კორუმპირებული გზა აირჩია, მაგრამ ახალმა რატომ დატოვა და არ შეუცვლია, ესაა გაუგებარი. ასე, რომ მინისტრის ჩამონათვალს ბევრი რამ აკლია..

— ეროვნულ სასწავლო გეგმას რომ ცოტა ხნით თავი დავანებოთ, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების გარეშე, სკოლაში სწავლის ხარისხის ამაღლება როგორ წარმოგიდგენიათ?

— რაც შეეხება კლასებში მოსწავლეთა რაოდენობას, შევარდნაძის დროს 25 მოსწავლით განისაზღვრებოდა და სააკაშვილმა 30-მდე გაზარდა. ახლაც იგივე და უარესი მდგომარეობაა. ზოგიერთ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა თითქმის 40 აღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ ამდენი მოსწავლის დაფასთან გამოძახება და სრულფასოვნად გამოკითხვა შეუძლებელია, სწავლის ხარისხის ამაღლებაზე არც უნდა ვიოცნებოთ. ამიტომ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-მდე უნდა ჩამოვიდეს. ყველაზე კარგი იქნება 20 მოსწავლე დაწყებით კლასებში და 25 მაღალ კლასებში.

— ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივას დავუბრუნდეთ.. ეროვნულ გამოცდებზე ბარიერის გაზრდა შეუქმნის თუ არა, უმაღლეს სასწავლებლებს კონტიმგენტის შევსების პრობლემას და გამოიწვევს თუ არა მათ დახურვას?

— საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელი მოქმედებდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა. ნაციონალური მოძრაობის დროს, ქვეყანაში 100-მდე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი იყო. მერე ეს რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა. 2015 წლის ეროვნული გამოცდები თუ არ ვცდები, 64 აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა. წელს ეს ციფრი 76-მდე გაიზარდა, რაც მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრია. ბუნებრივია, განათლების მინისტრის ინიციატივას ბევრი კერძო უნივერსიტეტი შეეწირება. შესაძლოა, რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტს კონტინგენტი გაუნახევრდეს და მუშაობა გაკოტრების რეჟიმში გაგრძელოს.

— კონკრეტულად, რომელ სასწავლებლებს ემუქრება დახურვის საფრთხე?

— სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, სამედიცინო უნივერსიტეტზე და ილიას უნივერსიტეტზე. ყველაზე კარგად მომზადებული და მცოდნე ბავშვები ამ სამ უნივერსიტეტში მიდის, ამიტომ ამ უნივერსიტეტებს არაფერი ემუქრება. წესით, კონტინგენტის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს შინაგან საქმეთა და თავდაცვის აკადემიებს. რაც შეეხება კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, კონტიმგენტის პრობლემა არ ექნება თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებს. ძალიან მომზადებული ბავშვები აბარებენ შავი ზღვის უნივერსიტეტშიც და თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნების გამო თუ არ დაიხურა, მინისტრის ინიციატივა პრობლემას ვერ შეუქმნის.

— როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებს თუ არა საქართველოს მთავრობა თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნას „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ დახურვასთან დაკავშირებით?

— მოგეხსენებათ, რომ თურქეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი კატეგორიულად ითხოვენ გიულენის სასწავლებლების ყველა ქვეყანაში დახურვას. ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა ასეთი სასწავლებლები უკვე დახურა. ფეთჰულა გიულენს „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ გარდა, საქართველოში სხვა სასწავლებლებიც აქვს გახსნილი, ამიტომ საკითხის კომპლექსურად შესწავლისა და სწორი დასკვნების გამოსატანად უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომლის მუშაობაში საზოგადოებაც ჩაერთვება. გავაგრძელებ მინისტრის ინიციატივაზე საუბარს და გეტყვით, რომ კერძო უნივერსიტეტებიდან დახურვის საფრთხე არ ემუქრება კავკასიისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტებს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული 76 უმაღლესი სასწავლებლიდან 12 საპატრიარქოს ეკუთვნის. ამ თორმეტიდან ისეთებს, რომლებიც რელიგიურ, საღვთისმეტყველო განათლებას აძლევენ, პრობლემები არ შეექმნებათ, რადგან საკუთარი კონტინგენტი ჰყავთ და მიღებას სტაბილურად გააგრძელებენ, მაგრამ ისეთ სასწავლებლებს, როგორიცაა საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სასწავლებელი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი და სხვები, რომლებიც რელიგიურ განათლებას არ აძლევენ, შესაძლოა კონტინგენტის მხრივ, გარკვეული პრობლემები შეექმნათ. ალბათ გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების დროს, უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონებიდან კულუარულად გამოდიოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ხუთი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დარჩენილიყო. აქედან სამი კერძო უნდა ყოფილიყო და ორი სახელმწიფო (სამედიცინო და ილიას უნივერსიტეტი). რაოდენ წარმოუდგენლადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასახურთა სიაში მოიაზებოდა, მაგრამ დრომ გვაჩვენა, რომ ყველაზე ძლიერი და მაღალქულიანი ახალგაზრდები ამ უნივერსიტეტში მიდიან. რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არაფერი ემუქრება, თუმცა საბოლოოდ, მინისტრის ინიციატივას უნივერსიტეტების რაოდენობის შემცირება მოჰყვება. არც ისაა გამორიცხული, რომ საბჭოთა პერიოდის მსგავსად, 18-20 უნივერსიტეტამდე ჩამოვიდეთ, საიდანაც ნახევარი გაკოტრების რეჟიმში იმუშავებს. საუბრის ბოლოს კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივა აბსოლუტურად გამართლებულია, მაგრამ ამასთან ერთად, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაატაროს ღრმა რეფორმები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. განათლების სამინისტრომ საზოგადოებასთან ერთად უნდა მოახერხოს ახალგაზრდების წიგნისკენ შემობრუნება. სხვანაირად, შედეგის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელია.

ნელი თორდია
571 35 36 88

ნაცმოძრაობის მიერ დაკანონებული მოსახლეობის მასობრივი დაყაჩაღების სქემა, რომლის გამოც ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა

ვაგრძელებთ იპოთეკური სესხებით დაზარალებული მოსახლეობის თემას. არასამთავრობო ორგანიზაცია „დაზარალებულთა ცენტრის“ ხელმძღვანელის დარეჯან **სულაქველიძის** განცხადებით, პარლამენტმა მიიღო დავით ონოფრიშვილისა და გიორგი ვოლსკის კანონპროექტების შეჯერებული ვარიანტი, რომელიც უიმედო სესხების ჩამოწერასა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების განვადებით გამოსყიდვას ითვალისწინებს, მაგრამ მთლიანობაში ვერც ეს კანონი გადაჭრის დაზარალებულთა პრობლემას.

დარეჯან სულაქველიძე: „დავიწყოთ იმით, რომ ჩამოწერას ძირითადად მცირე სესხები ექვემდებარება, იპოთეკურ სესხს ეს მექანიზმი ნაწილობრივ ეხება, თუ ნარჩენი თანხაა და რაღაც ამდაგვარი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოიწერება. რაც შეეხება უძრავი ქონების განვადებით გამოსყიდვას, ამ შემთხვევაშიც პარლამენტი უპირატესობას ბანკს უტოვებს. როდესაც ამდენი იპოთეკით დაზარალებული ყავს ქვეყანას, ზოგი ქუჩაში გამოყრილი და ზოგიც დღე-დღეზე რომ ელოდება გამოსახლებას, უკვე უამრავი უძრავი ქონებაა ბანკების ბალანსზე, კარგი იქნებოდა დაზარალებულთაც მისცემოდათ გამოსყიდვის უფლება, ოღონდ ხანგრძლივი ვადაში. გამოსყიდვის შემთხვევაში, დაზარალებულებს წინასწარ სთხოვენ კუთვნილი ბინების საფასურის 30-40%-ის შეტანას, რაც ბუნებრივია მათ არ გააჩნიათ. თანაც დანარჩენი თანხა 1-2 წელიწადში უნდა დაფარონ. დაზარალებულებს სისტემურად ემუქრებიან გამოსახლებით, გამოსყიდვის უფლებას არ მოგცემთო, ან ეს 30-40% შემოიტანეთ და მერე ვიფიქრებთ განრიგზეო. ერთი სიტყვით, უმძიმეს მდგომარეობაშია ეს ხალხი. ხელისუფლება უდიდეს ქართულ საქმეს გააკეთებს, თუ ამ უზარმაზარ წინასწარ შესატანს მოხსნის და გამოსყიდვის გაცილებით გრძელ ვადას (10-15 წელი) დააწესებს. დაზარალებულები ხომ ისედაც ეკონომიკურმა გაჭირვებამ აიძულა, რომ უკანასკნელი თავშესაფარი მიზერულ თანხაში დაეტვირთათ იპოთეკით და ახლა ამ თავშესაფარსაც კარგავენ. არ მომერიდება იმის თქმა, რომ საფინანსო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ჯეო კაპიტალს“ ქუთაისის მოსახლეობა „დატერორებული“ ჰყავს. რამდენიმე დღეა „ჯეო კაპიტალის“ მოვალეებს დენი, წყალი და გაზიც გაუთიშეს“

ქუთაისელმა ავთანდილ მელაძემ „ჯეო კაპიტალიდან“ 2012 წელს ისესხა 17.000 დოლარი და სესხის უზრუნველსაყოფად ორსართულიანი სახლი დატვირთა იპოთეკით.

ავთანდილ მელაძე: „თავიდან წლიურად 39%-ის გადახდას ითხოვდნენ, ბოლოს 36%-ზე შევთანხმდით. ჩემს ქალიშვილს თვალზე პრობლემა ჰქონდა და სასწრაფო ოპერაცია ჭირდებოდა, ოჯახსაც ხომ ჭირდებოდა რჩენა. სათბური გავაკეთე, მაგრამ იმ წელს ისეთი ქარიშხალი იყო იმერეთში, რომ დაინგრა, შევაკეთე, მაგრამ მეორე წელს ისევ დაინგრა. დაახლოებით ერთი წელი ვიხდიდი სესხის პროცენტებს, მაგრამ შვილი ისევ ავად გამიხდა, თვალზე პრობლემა გაურთულდა, თან ფეხმძიმედ იყო და შეიძლება თვალი საერთოდ დაეკარგა, ასე რომ ვეღარ შევძელი გადახდა. ორი წლის მერე ვთხოვე „ჯეო კაპიტალის“ ხელმძღვანელობას, რომ გავაგრძელებდი გადახდას, თვეში 200-300 დოლარს გადავიხდი-თქო, მაგრამ სასტიკი უარი მითხრეს, ორჯერ ისე გაიტანეს აუქციონზე, რომ ჩვენთვის არც შეუტყობინებიათ, ბოლოს თვითონ ამ ორგანიზაციამ შეისყიდა სახლი 36.000 ლარად. ხელშეკრულება არ გამიგრძელეს, ამ თანხის 30-40% წინასწარ შემოიტანე და ახალ ხელშეკრულებას გაგიფორმებთო, რისი საშუალებაც ნამდვილად არ გვქონდა, სახლს იმ შემთხვევაში დაგიბრუნებთ, თუ 36.000 დოლარს გადაიხდიო. ჯერ თითქოს 25.000 დოლარი მქონდა გადასახდელი, მაგრამ მერე თანხა გაზარდეს. „ჯეო კაპიტალმა“ სასამართლოს მიმართა გამოსახლების თაობაზე, თუმცა ჯერ გადაწყვეტილება გამოტანილი არ არის, რვასულიან ოჯახს, მათ შორის ოთხ მცირეწლოვან ბავშვს, უკანასკნელი თავშესაფრის დაკარგვა გვემუქრება, ისიც არ ვიცი სად უნდა წავიდეთ, კიდევ კარგი პოლიციური გამოსახლება გაუქმდა, თორემ დიდი ხნის გამოყრილები ვიქნებოდით. კრედიტორმა მისწერა ქელასს, გაზისა და წყალმომარაგების კომპანიებს, რომ არ სჭირდებოდა მათი მომსახურება და გაზი, წყალი და დენი გაგვითიშეს, ორ კვირაზე მეტია ამ მდგომარეობაში ვართ. „დაზარალებულთა ცენტრმაც“ მიმართა რომ ამ მდგომარეობაში არ დავეტოვებინეთ, მაგრამ მათაც უარი უთხრეს. ბოლოს იძულებული გავხდი სემეკისთვის მიმემართა, თუმცა პასუხი ჯერ არ მიმიღია“.

GEOCAPITAL
MICROFINANCE ORGANIZATION

რიკო
R

მარინა ბაკურაძემ, 2014 წელს, შპს „რიკო ექსპრესში“ (საფინანსო ორგანიზაცია) დაიპოთეკა თავისი სამოთახიანი ბინა 7.000 დოლარის სანაცვლოდ. როცა სესხი ავიღე, ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი დასაქმებული ვიყავით, ოჯახის საჭიროებისთვის მოვიხმარეთ ეს ფული და არც პროცენტის გადახდა გვიჭირდაო.

მარინა ბაკურაძე: „ორი წლის წინ უნდა დამეხურა სესხი, მაგრამ ყველა უმუშევრები დავრჩით და წელიწადნახევარია, ვეღარ ვიხდით თანხას. მეუღლე ათი წლის წინ გარდამეცვალა, ჩემი ქალიშვილი 2003 წლიდან ფსიქიური აშლილობითაა დაავადებული, დღესაც ნერვოფსიქოლოგიურ აღრიცხვაზეა და მუდმივ მკურნალობას საჭიროებს. ვაჟი რვა წელი სენაკის ბატალიონში მსახურობდა, 2008 წლის ომის დროს წინა ხაზზე იბრძოდა, ამან თავისი კვალი დაამჩნია, ნერვებმა უმტყუნა და ვეღარ გააგრძელა სამსახური, ბოლოს ტაქსიზე დაიწყო მუშაობა, მისი შემოსავალი პურის ფულად თუ გვყოფნის, ბინის გამოხსნაზე საუბარიც ზედმეტია. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი სამხედრო ვეტერანია, სამსახურის გამო შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, არც პენსიას იღებს და არც რაიმე შეღავათს. რამდენჯერმე მივმართე „რიკო ექსპრესის“ ხელმძღვანელობას, მათ სათავო ოფისსაც, რომ ნერვოზული პრობლემები აქვთ ჩემს შვილებს, უმუშევრები ვართ, ორი მცირეწლოვანი ბავშვი გვყავს და რაიმე შეღავათი გაეწიათ, მაგრამ უარი მივიღე. ჩვენც გვემუქრება გამოსახლება, ბავშვები შეშინებულები არიან, ჩემს ქალიშვილს ამდენი დაძაბულობისგან უფრო უარესდება მისი მდგომარეობა, კარის ყველა დაკაკუნებაზე ჰგონია, რომ გამოსასახლებლად მოვიდნენ. მე კრედიტის მოხსნას კი არა, დაბალპროცენტიან სესხს, დოლარის ლარში გადაყვანასა და ბინის განვადებით გამოსყიდვას ვითხოვ. ისეთი პირობები შემიქმნან, რომ კრედიტის დაფარვა შევძლო. ახლა ყოველთვიურად 260 დოლარი გვაქვს გადასახდელი, რისი საშუალებაც ჩემს ოჯახს არ აქვს, შეიძლება თქვან, 2% დაბალი გადასახადიაო, მაგრამ ეს მხოლოდ პროცენტია, ძირი-თანხა არ იფარება, ყოველი თვის 13 რიცხვში, ანუ პროცენტის გადახდის დღეს, ტრაგედიაა ჩემს ოჯახში“.

დარეჯან სულაქველიძე: „როდესაც ლარის კურსი მყისიერად მკვეთრად დაეცა, ამ ორგანიზაციამ პირველმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ერთ თვეში ხუთი მილიონი მოიგეს, ეს ყველაფერი ხომ ქართველი ხალხის კიდევ უფრო გაღარიბების საფუძველზე მოხდა? ხალხი ვეღარ იხდის კრედიტს, უამრავ ადამიანს დაენგრა ცხოვ-

რება, ქუთაისში მასიურადაა ასეთი ვითარება. იგივე „რიკო-ექსპრესის" ეს 1,5 თუ 2% ფაქტობრივად სატყუარაა, რადგან მხოლოდ სესხის პროცენტზეა საუბარი, ძირთანხას არ ეხება, ადამიანმა შეიძლება წლების განმავლობაში იხადოს თანხა, მაგრამ კრედიტი ბოლომდე არ იფარება. ამის პარალელურად თუ მსესხებელმა ერთი დღე დააგვიანა პროცენტის თანხა, საურავი 30-40 დოლარია, ყველა გადაცილებულ დღეზე ამხელა თანხა ერიცხება და შეიძლება ამ საურავმა თვითონ კრედიტის თანხასაც კი გაასწროს. უამრავი დაზარალებული გვაკითხავს, რომლებსაც ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა ე.წ. კრედიტორებისგანაც შეექმნათ უდიდესი პრობლემა. თქვენს გაზეთში ადრე დაიბეჭდა ერთ-ერთი ქალბატონის ინტერვიუ (ალბათ ამ თემას ისევ დაუბრუნდებით), რომელმაც კუთვნილი ოქროს ნივთები დაალომბარდა, ყოფილმა მოსამართლემ პაატა ქობულაძემ, მას ამ ნივთების გამოსახსნელი თანხა წაართვა, ზუსტად არ მახსოვს რა ბრალდებით, ოთხი წლით ციხეში გაუშვა და ქუთაისის ცენტრში უძრავი ქონებაც წაართვა. ამ ქალბატონმა (გულო ვაჩიბერიძე) პროკურატურაში იჩივლა, სს-ის საქმე აღიძრა, მაგრამ გამოძიება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, ის ერთი პერიოდი შიმშილობდა კიდეც და ახლა ისევ აპირებს შიმშილობას სახელმწიფო კანცელარიასთან. ადრეც გითხარით და გავიმეორებ, რომ აღსრულების ბიუროს საქმიანობა ძირფესვიანად არის შესაცვლელი, სხვათა შორის, ამას პარლამენტართა ნაწილიც ამბობს. რამდენადაც ვიცი, მათ წესდებით მომრიგებლის ფუნქცია აკისრიათ, ისინი აწესრიგებენ კრედიტორსა და მსესხებელს შორის ურთიერთობას, მათ მსესხებლებს შეტყობინებები უნდა გაუგზავნონ აღსრულების შესახებ, მაგრამ ცდილობენ არ მიაწოდონ ინფორმაცია და მსესხებელმა დამატებითი თანხები გადაიხადოს. როცა უძრავი ქონება აღსრულებაზეა გადაცემული, სოლიდური ჯარიმებია გადასახდელი, აუქციონის საფასური და ა.შ. ნულოვანი აუქციონიც გასაუქმებელია, ძვირადღირებული ქონება მიზერულ თანხაში არ უნდა გაიყიდოს, მის მეპატრონესაც ხომ უნდა დარჩეს რაღაც თანხა".

რესპოდენტების განცხადებით, ქუთაისში აქტიურად დადის ხმები, რომ „ჯეოკაპიტალი", რომელიც თითქოსდა ამერიკული ორგანიზაციაა, სინამდვილეში სააკაშვილის ოჯახის საკუთრებაა. ამ ორგანიზაციის ქუთაისის ფილიალს ამერიკაში გათხოვილი ირმა სვანაძე ხელმძღვანელობს (შეიძლება მეპატრონეც(აა)), რომელიც დიდ საურავებსა და

ჯარიმებს უწესებს ისედაც უკიდურესად გაჭირვებულ მსესხებლებს, ხალხს ფაქტობრივად ატერორებს თავისი წესებითა და კაბალური ხელშეკრულებებით. ზოგიერთი ბანკი მიდის იმ შეღავათზე, რომ პრობლემაშექმნილ მსესხებლებს კომუნიკაციები არ გაუთიშოს, ამ ქალბატონის ორგანიზაცია კი პირიქით, უარესად უმძიმებს ამ ადამიანებს მდგომარეობასო.

მარინა ლაღაძე: „ჩემმა მეუღლემ, ზუსტად არ მახსოვს 2011 თუ 2012 წელს „ჯეოკაპიტალიდან" 10.000 დოლარი ისესხა, მაშინ საზღვარგარეთ ვიყავი წასული სამუშაოდ და ისიც არ ვიცი, ეს თანხა მთლიანად თუ მისცეს. სესხის უზრუნველსაყოფად მან ქუთაისის ცენტრში (რუსთაველის გამზირი) მდებარე ორსართულიანი კერძო სახლი დატვირთა იპოთეკით. ჩემს მეუღლეს 3500 დოლარი ჰქონდა გადახდილი, როცა გარდაიცვალა, მძიმე ავადმყოფი იყო, ფეხიც მოაჭრეს. სახლის ნაწილი დავაგირავე და 3500 დოლარი კიდევ გადავიხადე, ჩემმა შვილმა 8.000 დოლარი პროცენტიანი ვალი აიღო, რომ სახლი გამოგვესყიდა, მაგრამ უარი გვითხრეს, 16.000 დოლარი უნდა გადაიხადოთო, მერე 39.000 ლარი გვითხრეს. ჩვენი სახლიც გაიტანეს აუქციონზე და „ჯეოკაპიტალმა" დაისაკუთრა. ახლა ფულიც აღარ უნდათ, პრესტიჟულ ადგილზეა, ძალიან მოგვწონს და დაგვიცალეთო. შევთავაზეთ ნახევარი გამოგვესყიდა, მაგრამ უარზე არიან. „მოლაპარაკებებს" ამ ორგანიზაციის იურისტი ზურაბ წკეპლაძე აწარმოებს. მეუღლე რომ გარდაიცვალა, სახლი ჩემს სახელზე უნდა გადმოსულიყო, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეზე, სამი შვილი მყავს (ერთიც ადრე გარდამეცვალა) და მათაც ეკუთვნით წილი. ეს რომ ვუთხარი წკეპლაძეს, რაში გჭირდება ამის აფიშირება, არ გამოაჩინო შენი ორი შვილი, ისეც გავაკეთებთ ყველაფერსო. ნოტარიუსმა ფაქტობრივად უჩვენოდ გახსნა სამკვიდრო ორ ადამიანზე, გაიტანეს სახლი აუქციონზე და გაყიდეს. შემოსავლების სამსახურმა მითხრა, რაღაც 2400 ლარი დარჩა და წაიღეთო, ხელი არ მომიკიდებია. ან გირაოს თანხა საიდან გადავიხადო, ნერვიულობისგან უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდი, ფსიქოტროპულ წამლებს მასმევენ, უმწეობის დახმარებაც არ დამინიშნეს. წკეპლაძე ძალიან კმაყოფილია, ჩვენ გავიმარჯვეთ, ძალიან კარგ ადგილზეა სახლიო. გამოსახლებით გვემუქრებიან, მე დაზუსტებით ვერ გეტყვით, რამდენად კანონიერად მოხდა მემკვიდრეობის აღდგენა, ჩემი ორი შვილი რომ არ ჩანს მემკვიდრეებში, ფაქტია, მომატყუეს, არ გამოაჩინო ისინი, სახლს ვინ წაგართმევსო, ან სახლის აუქციონზე გატანა და გაყიდვა. სხვათა შორის, პოლიციის თანამშრომლებთან მქონდა საუბარი ამ თემაზე და მათ მირჩიეს პროკურატურისთვის მიმემართა".

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მთავრობა, რეფერენდუმზე უართან დაკავშირებით, პრეზიდენტის არგუმენტაციას არ ეთანხმება

მთავრობა „რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების კონტრასიგნაციას განახორციელებს, თუმცა დოკუმენტში ასახულ არგუმენტაციას არ ეთანხმება.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, სადავოა არგუმენტი, რომ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო, რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება.

„ეს ასე ნამდვილად არ არის და ეს არის არგუმენტებზე დავა, მაგრამ კანონმდებლობის ხარვეზის გამო, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, კანონმდებლობაში ცვლილება ერთი თვის ვადაში უნდა აისახოს, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილების გატარებას სჭირდება მინიმუმ ორი სესია, ანუ გათვალისწინებულია სამთვიანი ვადა მაინც. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ რეფერენდუმის ინიციატორთა სურვილს, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი - სამოქალაქო ქორწინება გახლავთ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, აისახოს საქართველოს კონსტიტუციაშიც. სწორედ ჩვენი პოლიტიკური ძალა გახლდათ პარლამენტში ამ საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატორი და ეს პროცესი დაწყებულია", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ არჩევნების შემდეგ, ეს საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდება.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, სამწუხაროდ, არსებულ პარლამენტში, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ბოიკოტისა თუ სხვა მიზეზების გამო, ცვლილების ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ ეს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში აისახება.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საუბარი, თითქოს დასავლეთისკენ სწრაფვა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაა, წმინდა წყლის სპეკულაციებია. „ქართული ოცნება" არის ის პოლიტიკური ძალა, რომელშიც ყველაზე მეტად არის შერწყმული დასავლური და ჩვენი ქვეყნის ტრადიციული ფასეულობები. ევროპას სწორედ ასეთი ვუნდივართ და სწორედ ასეთი საქართველო არის ძვირფასი და ღირებული ევროპისთვის, რომელიც პატივს სცემს ტრადიციულ ფასეულობებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არჩევნების შემდეგ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას აუცილებლად განვახორციელებთ", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

facebook

„საინციატივო ჯგუფი შედის განცხადებით მთავარ პროკურატურაში, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ე.წ. პრეზიდენტ მარგველაშვილის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია კანონი და აბსოლიტურად უკანონოდ უარი უთხრა ნახევარ მილიონ ხელმომწერს რეფერენდუმის ჩატარებაზე.

მოვითხოვთ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე მარგველაშვილის წინააღმდეგ,მისი უკანონო ქმედებების გამო! კიდევ ერთი საერთო გამარჯვება რეფერენდუმის საკითხზე! მთავრობა პრეზიდენტს უკანონობაში ამხელს!

მადლობა პრემიერს სწორი პოზიციისთვის! მთავრობა და პრემიერი კატეგორიულად არ ეთანხმება მარგველაშვილის გადაწყვეტილებას რეფერენდუმის არდანიშვნასთან დაკავშირებით. ე.წ. პრეზიდენტი საბოლოოდ გაშიშვლდა. მთავრობამ აღიარა, რომ ჩვენი პოზიცია მართებულია და რეფერენდუმი დასანიშნია.

ქართველი ხალხი, პარლამენტი, მთავრობა ღიად მოითხოვს რეფერენდუმის დანიშვნას, ერთადერთი მონა მარგველაშვილი უწევს წინააღმდეგობას ერის მოთხოვნას.პრეზიდენტმა ან ხელი უნდა მოაწეროს ან გადადგეს და პასუხი აგოს კანონის მთელი სიმკაცრით! ხალხის ნების უკანონოდ ამკრძალავი უზურპატორი ე.წ. პრეზიდენტი ციხეში!" - აცხადებს სანდრო ბრეგაძე

http://patrioti-tv.ge/slide/323--.html

გიორგი კვირიკაშვილი:

8 ოქტომბერს გამარჯვებას ვიზეიმებთ

ხაშური

ხაშურმა უნდა დაიბრუნოს ის ლოჯისტიკური, სატრანზიტო ფუნქცია, რომელიც მას ყოველთვის გააჩნდა და ამით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს ქვეყნის ეკონომიკურ აღმასვლაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაშურში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაშურელებს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – **ვალერი გელაშვილი** წარუდგინა და ქვეყნის განვითარების სამომავლო გეგმა გააცნო.

მისი თქმით, მომავალი ოთხი წელი სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებების პერიოდი იქნება.

„ჩვენ არ გვაქვს ნაპრალი მოსახლეობასთან, ჩვენ ისეთივე რიგითი ადამიანები ვართ, როგორც თითოეული თქვენგანი, ამიტომჩვენ კარგად ვაფასებთ ყველაფერს, რაც კეთდება ამ ქვეყანაში. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით ვაპირებთ მომავალი 4 წლის გავლას და სრაფი ნაბიჯებით, მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ცვლილებებით ეკონომიკაში, განათლების სისტემაში, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით... მომავალი 4 წლის განმავლობაში 5 მილიარდ დოლარზე მეტი უნდა დაიხარჯოს დამატებით, ვიდრე დღეს ხმარდება ინფრასტრუქტურას. ჩვენ ამას გავაკეთებთ, ეს არის შესაძლებელი და ამის კონკრეტული გეგმა გაგვაჩნია. არჩევნების მეორე დღიდანვე ჩვენ დავიწყებთ ამ გეგმის განხორციელებას,“ – აღნიშნა პრემიერმა.

პარტიის თავმჯდომარემ წინასაარჩევნო პროცესის თავისუფალ და ღია გარემოში მიმდინარეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა დააღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი პრიორიტეტი მოქალაქეების ღირსება და თავისუფლებაა.

„თქვენ ძალიან კარგად იცით, რაც ხდებოდა ხაშურში 2012 წელს. ბატონმა ვალერი გელაშვილმა საკუთარ თავზე იწვნია უსამართლობა, სახელმწიფო აპარატის წნეხი და ფიზიკური გადაგურების საფრთხის წინაშეც იდგა. მან ძალიან კარგად იცის, რა არის ადამიანის ღირსება და ვაჟკაცობა და სწორედ ის კაცია, რომელიც ვაჟკაცურად დაუდგა იმ უსამართლობას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაშურელებს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების კონსოლიდაციით, 4 წლის თავზე თვისობრივად ახალ ქვეყანას მივიღებთ.

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვალერი გელაშვილმა სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრსა და „ქართულიოცნების“ გუნდს გამოცხადებული ნდობისა და მისი კანდიდატურის წარდგენისთვის მადლობა გადაუხადა.

„ხაშურში უკვე მეოთხედ ვიყრი კენჭს. სამჯერ, თქვენთან ერთად, ბრძოლით, გავიმარჯვეთ უსამართლობის წინააღმდეგ. მეოთხედაც ჩვენ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანაში არსებული სამართლიანი არჩევნების პირობებში, აუცილებლად გავიმარჯვებთ. ამ ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებასთან ერთად შევეცდები მაქსიმალურად შევქმნათ სამუშაო ადგილები, რათა ყველა ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა. ყველას ულრმეს მადლობას გიხდით აქ მობრძანებისთვის. ჩვენ 8 ოქტომბერს გამარჯვებას ვიზეიმებთ“, - განაცხადა ვალერი გელაშვილმა.

ქარელი

ჩვენ შევძლებთ ყველაზე მთავარს – დავასრულოთ დაპირისპირებები საზოგადოებაში, გავაერთიანოთმთელი ქვეყანა ერთიანი პოზიტიური, დადებითი განვითარების გეგმის გარშემო, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ქარელის მოსახლეობას, რომელსაც პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – **გიორგი თოთლაძე** წარუდგინა.

გიორგი კვირიკაშვილმა ადგილობრივებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო. მისი თქმით, არც ერთ მთავრობას, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, არმიუქცევია იმხელა ყურადღება სოფლის მეურნეობისთვის, როგორც დღეს.

„ეს სახელმწიფო პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და განსაკუთრებით ქარელისთვის, სადაც მრავალწლიანი ნარგავების მოშენების უდიდესი კულტურა არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია მცირემიწიან ფერმერთა დახმარებისკენ მიმართული პროგრამები, რომელთა მეშვეობით ხდება ბევრი პრობლემის გადაჭრა. დღეს უკვე საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან

გაჯანსაღებას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას და სოფლის მეურნების გაძლიერებას,“ – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ხელისუფლების საბოლოო მიზანია, თითოეული მოქალაქის ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა, რაც ქვეყნის სწრაფი განვითარების გეგმით მიიღწევა. პრემიერმა ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 1 იანვრიდან მოგების გადასახადი აღარ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ მოგებული თანხა მომავალ პროექტებში რეინვესტირდება.

„ჩვენ მთლიანად უარი ვთქვით იმ მემკვიდრეობაზე, როდესაც საგადასახადო ინსტიტუტები ბიზნესზე წნეხისთვის იყო გამოყენებული და უარი ვთქვით კომპანიების შესამოწმებლად ფინანსური პოლიციის გამოყენებაზე. ჩვენ ზუსტად ვიცით, სად უნდა დავიწყოთ და სად უნდა დავასრულოთ ოთხ წელიწადში, ეს არის ძალიან მკაფიო გეგმა, რომლის განხორციელების კომპეტენცია, გამოცდილება,ხალხთან კავშირი და ქვეყნის სიყვარული ჩვენ გაგვაჩნია!“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა ქარელის მოსახლეობასთან შეხვედრისას.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა კახა კალაძემ ქარელში სიტვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა მთავრობის მთავარ მიღწევებზე და მათ შორის ხაზი გაუსვა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას.

„პირველ რიგში, მინდა ულრმესი მადლობა მოგახსენოთ თითოეულ თქვენთაგანს დღეს აქ მობრძანებისთვის. მადლობა იმ საქმიანობისათვის, რასაც თქვენ ჩვენთან ერთად აკეთებდით ამ წლების განმავლობაში. მადლობა იმისთვის, რომ დგახართ იქ, სადაც სჭირდება ჩვენს ქვეყანასა და ხალხს. ჩვენ ძალიან ბევრი ბრძოლა გამოვიარეთ ერთად. დღეს ჩვენ დავუმტკიცეთ სრულიად მსოფლიოს, დავუმტკიცეთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ის, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა ქვეყნის მართვა ძალადობის, ოჯახების

გაუბედურების გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, არის თითოეული თქვენთაგანის დამსახურება, ჩვენი ერთად, ყველას დამსახურება. ჩვენ არასდროს დავუშვებთ, რომ ქვეყანაში დაბრუნდეს ისეთი მთავრობები, ისეთი ხელისუფლებები, რომლებიც იძალადებენ თავიანთ მოქალაქეებზე. ჩვენ ყველამ ეს, ჩავაბარეთ წარსულს. ჩვენი მთავარი, მნიშვნელოვანი მონაპოვარი ეს არის თავისუფლება. ნამდვილად საამაყოა, რომ დღეს საქართველოში, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან დაცულნი. მათი უფლებები არის თანაბრად დაცული, მიუხედავად მათი განსხვავებული აზრისა, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა. ზუსტად, ჩვენ ასეთ სახელმწიფოს ვაშენებთ, სადაც თითოეული მოქალაქე იქნება თანაბრად დაცული. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებულ ქვეყანას. რა თქმა უნდა, ეს არ არის იოლი გზა, უფრო მარტივია ქვეყნის ისეთი მართვა, როგორც წინა ხელისუფლება აკეთებდა-ძალადობასა და პოლიციაზე დამყარებული რეჟიმი, მაგრამ ჩვენ ამას, ყველამ ერთად ვუთხარით არა“, - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

მესტია

ჩვენ ვართ ის გუნდი, ის მთავრობა, რომელსაც არასოდეს გაუთელავს ფეხქვეშ ჩვენი მოქალაქეების ღირსება, რომელიც ყველა ნაბიჯს მხოლოდ ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის სიყვარულითა და პატივისცემით დგამდა ამ წლების განმავლობაში, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა მესტიის მოსახლეობას, რომელსაც სვანეთის გაერთიანებული ოლქების კანდიდატი **გოჩა ენუქიძე** წარუდგინა. პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობას აქვს კონკრეტული გეგმა რა უნდა გაკეთდეს, რომ სვანეთი ტურისტებისთვის კიდევ უფრო მომხიბვლელი გახდეს და განვითარდეს შიდა ტურიზმი. „სამწუხაროდ, ბევრ უცხოელს ნანახი აქვს სვანეთი, ხოლო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას — არა. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენმა შვილებმა, ჩვენმა მოხუცებმა მოინახულონ, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ეს ულამაზესი კუთხე. ჩვენ გვაქვს გეგმა, როგორ განვავითაროთ სპორტსკოლები ზამთრის სპორტის სახეობებისთვის. აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ტრადიციული გაზაფხულის არდადეგები, რათა კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა შეძლოს დასვენება სვანეთში და გავზარდოთ ჯანმრთელი მომავალი თაობა. გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმა თეთნულდის ტურისტული კომპლექსის განვითარებისთვის. იქ სერიოზულ ფინანსურ რესურსებზეა საუბარი, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან, რათა აუცილებელი ინფრასტრუქტურა შეიქმნას. აუცილებლად უნდა აშენდეს დამატებითი საბაგირო იმისთვის, რომ მესტიიდან შესაძლებელი იყოს ჰაწვალის საბაგიროთი ასვლა, რათა მოთხილამურეებს მესტიაში საბაგიროთი სარგებლობა გავუადვილოთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ასევე აშენდება გზა ქუთაისიდან მულახის მიმართულებით, გვირაბების გავლით და უშგულზე გადამავალი ზაფხულის გზას. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს ყველაფერი აბსოლუტური რეალობაა და ამისთვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ინტენსიური მუშაობა და რეალური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „ასევე, გარემონტდება ჯვარი-მესტიის გზა, რაც აუცილებელია, რათა შავი ზღვისპირეთიდან ამომავალმა ტურისტმა კომფორტული გზით ისარგებლოს. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სვანეთში თითოეულ ოჯახში ამოვიდეს კეთილდღეობა, თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს ის ნაბიჯები, რომლებსაც ვახორციელებთ. დამატებით შეღავათია მთის კანონი, რომელზეც ბევრი იშრომეს ამ კუთხის შვილებმა, რომლებიც მთის კომისიის მუშაობაში ძალიან აქტიურად საქმიანობდნენ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ისაუბრა გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება დაეთმო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს — ჯანდაცვას და სოციალურ მიმართულებას, რაზეც საქართველოს ბიუჯეტის მესამედზე მეტი — 3 მილიარდი ლარი იხარჯება. „ეს იყო უმნიშვნელოვანესი ჩვენთვის, ვინაიდან, თუ არ გვეყოლება ჯანმრთელი მოსახლეობა და ადამიანს, საკუთარი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, უკანასკნელ ქონებაზე ხელის აღება მოუწევს, მაშინ არაფერს აქვს ფასი. ძალიან დიდი რესურსი დაიხარჯა სოფლის მეურნეობაზე — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, არც ერთ მთავრობას ამხელა ყურადღება არ დაუთმია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. დღეს ბავშვებისთვის აღარ არის საჭირო, სოფლიდან სოფელში სკოლაში ფეხით სიარული, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამაზეც დიდი რესურსი გამოვყავით. ჩვენ შევქმენით“სოლიდარობის ფონდი“, რომელშიც უამრავი ადამიანი საკუთარი სურვილით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დამატებით, რასაც სახელმწიფო გაიღებს ჯანდაცვისთვის, აგროვებს რესურსს, რომ ძალიან რთულ დაავადებებზე, რომელთა მკურნალობა საქართველოში ვერ ხერხდება, ჩვენს ბავშვებს ვუმკურნალოთ უცხოეთში. ეს ყველაფერი იმისთვის გავაკეთეთ, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის გვეჩვენებინა სითბო, მეტი სიყვარული, რადგან 2011 წელს ამის საჭიროება ძალიან მძაფრად იგრძნობოდა“, -განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერმა აღნიშნა, რომ დღეს ქვეყანაში თვისობრივად განსხვავებული საარჩევნო გარემოა, განსხვავებული აზრი არ იდევნება, სატელევიზიო ეთერში ხშირად ისმის არცთუ სამართლიანი კრიტიკა, მაგრამ ეს არის ის სინამდვილე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ მოსწონს და რომლითაც აპირებს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრების გაგრძელებას. მთავრობის მეთაურის შეფასებით, მთავარი მიღწევაა ის, რომ ადამიანის ღირსება დღეს უზენაესი დადაფასებულია. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა ამაყია, მაგრამ არა — თვითკმაყოფილი, ხედავს შეცდომებსაც, თუმცა მოსახლეობას სთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებზე დაფუძნებულ ახალ გეგმას, რომლის მიზანია, საქართველოში ყველა ოჯახმა იგრძნოს ის კეთილდღეობა, რომლის შექმნის მყარი საფუძველი უკვე ჩაყრილია. „ქართული ოცნება — დემოკრატიულისაქართველოს“ თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სვანეთს პარლამენტში წარმომადგენელი პროპორციული სიითაც ეყოლება. მმართველი გუნდი მიიჩნევს, რომ განხორციელებული ცვლილება, რომელიც საქართველოს მოსახლეობის მათემატიკური რაოდენობით დაყოფას გულისხმობს, სამართლიანი არ არის და აუცილებელია, კუთხეებს საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავდეთ.

მესტიის მოსახლეობასთან სიტყვის გამოსვლისას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ენუქიძემ პრემიერ-მინისტრსა და „ქართული ოცნების“ გუნდს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთის კეთილდღობა საქართველოს სიძლიერეა.

ცაგერი

ჩვენ უზრუნველვყოფთ საქართველოში ძალიან სწრაფი განვითარების პროცესს ისე, რომ არც ერთი ბავშვის ცრემლი არ ჩამოვარდება, არც ერთი უდანაშაულო ადამიანი არ დაისჯება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარტია“ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა ცაგერში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი **გოჩა ენუქიძე** წარადგინა. პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობისთვის ადამიანის ღირსება უზენაესია. „ეს არის უდიდესი განსხვავება ჩვენსა და სხვებს შორის. განსხვავე-

10 გვ.

9 გვ.

ბა არის ის, რომ ჩვენ სიყვარულით ვაკეთებთ ყველაფერს. ძალიან დიდი განვითარების პროცესი იგეგმება სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ოთხი წლის თავზე თქვენ იხილავთ სრულიად სხვა, გაცილებით უფრო ფერად, გაცილებით აგუგუნებულ ქვეყანას, რომელშიც ყველა ადამიანი გაცილებით უკეთ იგრძნობს თავს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის უპრეცენდენტო მხარდაჭერაზე და აღნიშნა, რომ ბევრ შეძლებულ ქვეყანას არ აქვს ასეთი უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამა, როგორიც საქართველოს. „დღეს მთიან რეგიონებში, ვეღარ ნახავთ სოფელსა და სოფელს შორის, ფეხით მიმავალ ბავშვებს, რომლებსაც სკოლამდე მისასვლელად, ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევდათ. ყველა ასეთ სოფელს ავტობუსი ემსახურება. დღეს ჩვენ ვდგავართ ოთხი წლის მიჯნაზე და მომავალი ოთხი წლისთვის გვაქვს ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმა, როგორ უნდა მივიყვანოთ საქართველო მომავალი ოთხი წლის თავზე იმ წერტილამდე, როცა პროცესი შეუქცევადი იქნება და ყველა ოჯახი იგრძნობს შექმნილ კეთილდღეობას. ეს აბსოლუტურად რეალურია“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის განმარტებით, იგეგმება უმაღლესი განათლებისსისტემის ძირეული რეფორმა, რათა მომავალმა თაობამ, დრო და რესურსი არ დახარჯოს ისეთი პროფესიების დაუფლებაში,რომელთა სიჭარბეა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მნიშვნელოვანი რეფორმაა საჭირო საშუალო განათლებაშიც, რომლის მთავარი ღერძი უნდა იყოს დაფასებული პედაგოგი. „ჩვენ გვმართებს, ქედი მოვიხაროთ და მადლობა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებმაც ძალიან დიდი გაჭირვების პერიოდში, გმირობის ფასად უზრუნველყვეს უწყვეტი განათლება ჩვენი მომავალი თაობისთვის. მეტი აქცენტი უნდა გავაკეთოთ მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესზე და არატესტირებაზე, გამოცდებზე. ტესტირება საჭიროა, მაგრამ არ შეიძლება, ეს დამოკლეს მახვილივით ეკიდოს ყოველთვის ჩვენი პედაგოგიური კორპუსის თავზე. მე პედაგოგის ოჯახში ვარ გაზრდილი. დედაჩემი გახლდათ უნივერსიტეტის პროფესორი.დღეს მყავს ასევე ბებია, რომელიც 96 წლის არის და 60 წლის განმავლობაში ასწავლიდა მათემატიკას საქართველოში, კომაროვის სკოლაში. ასე, რომ ჩემთვის უცხო არ არის, რამხელა შრომასთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა საუბრისას ყურადღება მმართველი გუნდის გონივრულ საგარეო პოლიტიკასაც დაუთმო დააღნიშნა, რომ ამ პოლიტიკის შედეგია თუნდაც ის, რომ წელს საქართველოში 400 ათასზე მეტი ტურისტია ჩამოსული რუსეთიდან, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი. „ჩვენ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტში ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, შევძლებთ, უზრუნველვყოთ მეტი სტაბილურობა და ჩვენი შვილების უკეთესი მომავალი“, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა, ასევე, საზოგადოების კონსოლიდაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ არ შეიძლება, ქვეყანა მუდმივ დაპირისპირებაში იყოს. „ჩვენ, ერთიანი ძალით, აუცილებლად გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას. უნდა დასრულდეს ამ პატარა ერში ერთმანეთის ჭამა, ერთმანეთთან დაპირისპირება. არ შეიძლება ამდენი შეურაცხყოფის ატანა, არ შეიძლება, ბავშვები უყურებდნენ, მათი მშობლები როგორ ჭამენ ერთმანეთს. ეს არანორმალურია და თუ ჩვენ ეს არ დავასრულეთ, არაფერი გამოგვივა, ვიქნებით მუდმივ დაპირისპირებაში. ჩვენი პარტიის მოწოდებაა, გზა გავუხსნათ ყველა ადამიანს, მათ შორის, მივცეთ საშუალება იმ „გზააბნეულებსაც“, რომლებიც დღეს შეიძლება სხვა მოსაზრების იყვნენ, გაერთიანდნენ ამ ერთი მიზიდულობის ძალის ქვეშ, რომელსაც აუცილებლად შექმნის „ქართული ოცნება“, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთადერთი ყველაზე ძლიერი ძალა და სერიოზული ცვლილებების მომტანი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ენუქიძემ სიტყვით გამოსვლისას მოსახლებას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათ ერთად დგომით უნდა დაუბრუნონ მთას სიცოცხლე. „მე დღეს ერთ-ერთი თქვენთაგანი ვარ. თქვენი ოჯახის მეგობარი და თქვენი ინტერესების დამცველი. მსურს ჩემი ცოდნა, უნარი და წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება გამოვიყენო იმისთვის, რათა თქვენ იგრძნოთ უკეთესობა. ჩვენ ერთობლივი ძალებით უნდა შევქმნათ თანამედროვე გარემო, განვავითაროთ ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, მოვაგვაროთ სოციალური პრობლემები, რაც კეთილდღობისა და წარმატებული ყოფა-ცხოვრების მომტანი იქნება. რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი ერთ ოლქად გაერთიანდა და მინდა იცოდეთ, ლეჩხუმს ეყოლება წარმომადგენელი, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს. ჩემო საყვარელო ლეჩხუმელებო, უკვე ორი მოწვევაა, რაც მთიან რეგიონს წარმოვადგენ პარლამენტში და მთისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკა ჩემთვის კარგად ცნობილია. სულ რამდენიმე დღეში ამოქმედდება ჩვენს მიერ მიღებული „მთის კანონის“ ის ნორმები, რომლებიც ბევრ სოციალურ შეღავათს მოიტანს და თქვენ იგრძნობთ მის სიკეთეს. არჩევნებამდე სულ ცოტა დრო დარჩა და მე მჯერა, რომ 8 ოქტომბერს ჩვენ ერთად გავაკეთებთ სწორ არჩევანს. გავერთიანდეთ, გავაძლიეროთ ერთმანეთი და ერთად დავუბრუნოთ მთას სიცოცხლე“, - განაცხადა გოჩა ენუქიძემ.

ლენტეხი

მინდა, სიამაყით ვთქვა, რომ დღეს აღარ არსებობს ნაპრალი ჩვენს ხალხსა და ჩვენს შორის და ადამიანის ღირსება არის ის უზენაესი, რაზეც არის დამყარებული ყველაფერი საქართველოში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა ლენტეხის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი **გოჩა ენუქიძე** წარადგინა.

პრემიერმა გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღეს საარჩევნო გარემო თავისუფალია. „დღეს ქვებით არავის ხვდებიან. ცალკეული ინცინდენტების გარდა, მთლიანად, საარჩევნო კამპანია მშვიდობიანია. სატელევიზიო სივრცეში ისმის თავისუფალი აზრი — ხშირად, შეიძლება გულსატკენი, მაგრამ თავისუფალი, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება იმ სახელმწიფო პროგრამებსაც დაუთმო, რომლებიც მეწარმეობის განვითარებას ისახავს მიზნად და გამოყო „აწარმოე საქართველოში“, რომლის ნაწილია საოჯახო სასტუმროების წახალისების პროგრამა — „უმასპინძლე საქართველოში“.

პრემიერმა აღნიშნა, რომ პროგრამა, ყველა ადამიანს, ამ მიმართულებით საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ გაფართოებისთვის, გრძელვადიან, შეღავათიან კრედიტებს სთავაზობს. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ეს კეთდება იმისთვის, რომ შეიქმნას ადგილობრივი საწარმოო პოტენციალი და მოქალაქეებმა თავი უფრო წელგამართულად იგრძნონ. თუმცა, პრემიერის განცხადებით, ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ საწადელს მიაღწია. როგორც მან აღნიშნა, მმართველი გუნდი კარგად ხედავს, რამხელა გაჭირვებაა რეგიონებში, მაგრამ აქვს ძალიან კონკრეტული გეგმა, როგორ მიაღწიოს იმას, რომ უკვე ჩაყრილი საფუძველი თი-

სოციალური დახმარებები. ჩვენ ძალიან ვეცადეთ და ბოლო წლების განმავლობაში პოლიტიკური შემადგენელი მთლიანად ამოვაცალეთ ამას, როდესაც არჩევნების წინ ხდებოდა ხოლმე ათეულობით ათასი ადამიანისათვის დახმარების დანიშვნა. მესმის, რომ თითოეული ადამიანისთვის, თითოეული ოჯახისთვის დანიშნული ან განსაკუთრებით მოხსნილი სოციალური დახმარება რამდენად მტკივნეულია, მაგრამ თვალებში გიყურებთ დაპირობას გაძლევთ, რომ ეს არის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკა, შეიძლება ითქვას ღირსების საკითხიც, რომ სოციალური დახმარების იმედზე კი არ იყოს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი და ოჯახი, არამედ, მას ჰქონდეს ღირსეული სამუშაოს შესაძლებლობა, რომ

თოეული ოჯახის კეთილდღეობად გარდაიქმნას.

„წელს საქართველოში 6 მილიონამდე ტურისტს ველოდებით და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რეგიონებში რამხელა ზრდა ატურიზმში. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეს სიკეთე ყველა თქვენგანის ოჯახმა იგრძნოს. ლენტეხში მალე დასრულდება ყველაზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საავადმყოფოს მშენებლობა. ეს იქნება დიდი შვება ადგილობრივებისთვის და ეს ყველაფერი, მთის კანონთან ერთად, შექმნის წინაპირობას, რომ აქ დამაგრდეს მოსახლეობა და ახალგაზრდობა რეგიონის დატოვებაზე აღარ ფიქრობდეს. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მნიშვნელოვანი ნაბიჯები ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისთვის. ჩვენ თქვენთან მოსასვლელი პირი არ გვექნება, თუ არ ავაშენეთ ლენტეხიდან მულახისკენ მიმავალი გზა, თავისი გვირაბებით. ასევე, საზაფხულო გზა უშგულის გავლით, რომელიც, ამ გზაზე მდებარე ყველა სოფლისთვის მნიშვნელოვანია. ამას ექნება უდიდესი მნიშვნელობა სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის განვითარებისთვის, თითოეული თქვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ საზაფხულო გზის მშენებლობა და გვირაბების პროექტზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობა უახლოეს მომავალში დაიწყება.

პრემიერის თქმით, ეს ყველაფერი გაკეთდება უსწრაფეს ტემპებში, მაგრამ ისე, რომ მთავრობა არ გადათელავს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს და თითოეული ადამიანის ღირსება უზენაესი და უპირველესი იქნება. გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას მაჟორიტარობის კანდიდატი წარუდგინა და განაცხადა, რომ სვანეთს პარლამენტში წარმომადგენელი პროპორციული სიითაც ეყოლება.

„ჩვენ არ მოგვწონს ის, რომ საქართველოს მოსახლეობას, რაღაც სტანდარტების მიხედვით, მათემატიკურად აჯამებენ. ყველა რეგიონს აქვს თავისი თავისებურებები, გასაჭირი, სიხარული და ყველა რეგიონი გამორჩეულია, მაგრამ ასეთია რეალობა“, - განაცხადა პრემიერმა.

ლენტეხის მოსახლეობას სიტყვით ასევე მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ**. მინისტრი ადგილობრივებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ესაუბრა.

„მსურს, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი დიდი პატივისცემა და მოგახსენოთ იმის შესახებ, რომ მე, ნამდვილად, არ ჩამოვსულვარ აქ იმისათვის, რათა თავი მოგაწონოთ, თუ რამდენი რამის გაკეთება შევძელი - ეს მთლიანად მთავრობის დამსახურებაა. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ თუნდაც გადაუდებელ შემთხვევაში ექიმთან მისულიყო. ეს არის თითოეული თქვენგანის უფლება და ეს არის ის, რაც გეკუთვნით. ერთადერთი, რაც შევძელით, იმის ნაწილი დაგიბრუნეთ, მე მგონი, საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც გეკუთვნოდათ და არა ის, რომ დაგამადლოთ, აი, რამდენი რამ გავაკეთეთ. იგივე ეს საავადმყოფო, რომელიც რამდენიმე კვირაში ამუშავდება. იგივე სასწრაფო დახმარების განახლებული სადგური. მე კარგად მესმის, დამერწმუნეთ, დეტალურად ვიცი, ის დამატებითი საჭიროებები, რაც დარჩება რაიონს მას შემდეგ, რაც ძალიან მალე ეს საავადმყოფო გაიხსნება. იგივე შეეხება სასწრაფოს“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრმა ასევე ისაუბრა სოციალური დახმარებების შესახებ. „ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული რაც არის, ესაა თვითონ, ღირსეულად შეინახოს თავისი ოჯახი. თუმცა, რა თქმა უნდა, იმ ოჯახებს, ვისაც სჭირდება დახმარება, აუცილებლად დავეხმარებით“, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ენუქიძემ ლენტეხის მოსახლეობასთან სიტყვით გამოსვლისას მიგრაციის პროცესის შეჩერებისა და ამისათვის, თანამედროვე გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„მე დღეს ერთ-ერთი თქვენთაგანი ვარ, თქვენი ოჯახის მეგობარი და თქვენი ინტერესების დამცველი. მსურს ჩემი ცოდნა, უნარი, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება გამოვიყენო იმისთვის, რომ იგრძნოთ უკეთესობა. ერთად მოვუტანოთ წარმატება და წინსვლა ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ერთობლივი ძალებით შევქმნით თანამედროვე გარემოს, სამუშაო ადგილებს. შევაჩერებთ მიგრაციის პროცესს და განვავითარებთ ტურიზმს, მეცხოველეობას. გონივრულად ავითვისებთ ჰიდრორესურსებს“, - განაცხადა გოჩა ენუქიძემ. ®

თანამედროვე ქართული საარჩევნო ზღაპრებიდან

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი შეჭირვებული ქვეყანა, სახელად საქართველო. ჰოდა, აგვისტოს ხვატში, ამ შეჭირვებული ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სამი დღე მარჯვენა თვალი საეჭვოდ უტამაშებდა რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში.

ბიჯოს, ძლივს არ გაირკვა? – გერმანულ-ამერიკულ ორგანიზაცია GFK-ს „რუსთავი-2-ის“ დაკვეთით სოციოლოგიური კვლევა ჩაუტარებია. 2 200 ადამიანი გამოუკითხავთ და ისეთი შედეგები მიუღიათ, გარეთ რომ მტერს გაუხეთქეს ვითომ გული და შიგნით თვითონ გაუსკდათ რეალურად. ჩატარებული კვლევის ცდომილების ზღვარი მხოლოდ 2,1 %-იაო, მიუთითებიათ კიდეც.

რა თქმა უნდა, გამოკითხვის შედეგები დამკვეთმა ტელეკომპანიამ გაავრცელა და რა გაავრცელა. ისე ნიშნისმოგებით ამცნობდა მაყურებელს კვლევის საოხუნჯო შედეგებს საინფორმაციო გადაცემის დედალ-მამალი წამყვანი, ლამის მუშტი ურტყეს მაგიდაზე, კი, ზუსტად ასეთი შედეგი დაიდოო. რაც შეეხება კვლევის შედეგებს, ისეთი პროცენტები დაიდო, ბორჯომ-ხარაგაულის მონაკვეთზე ტყის პირას საკბილოს ძებნაში გამოსულ მელას სიცილისგან გონება დაუკარგავს და იქვე გართხმულა სულამომდინარი... უკვე მერამდენედ...

ზოგადად, სოციალური კვლევები ამომრჩევლის უფრო მეტად ინფორმირებისთვის უნდა ტარდებოდეს, მაგრამ საქართველოში უკუშედეგი აქვს და სულაც სხვა მიმართულებას იღებს ჩამოუყალიბებელი მეთოდებისა და მეთოდოლოგიის უქონლობის გამო, შესაბამისად, საზოგადოება იყოფა კვლევების შედეგების დამჯერეებად და ურწმუნოებად. ამდენად, კვლევები სადისკუსიო ველის გახსნას კი არა, ჩაკეტვას ემსახურება რაც ბუნებრივია, ბადებს ეჭვს, რომ ამომრჩევლის გაურკვევლობაში ყოფნა პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა რგოლის ინტერესშია.

ასეა თუ ისე, ჯერ ხომ „IRI-მ“ არ დაინდო საქართველოს მოქალაქეები, შემდეგ „NDI“ შეეჩვია სიაფანდ გამოკითხვას წუწკი თახვივით, ახლა კი „GFK“ გამსუნაგდა, ისე სწრაფ-სწრაფად აქვეყნებს პოლიტიკური რეიტინგების სასაცილო სოციოლოგიურ კვლევებს, თუ არ მისდიე, თავ-გზა აგერევა, ხოლო თუ მისდიე, სიცილისგან გადაფიჩინდები. არა, მაინც რა „სასაცილო პაპიროზს“ ეწევიან ამისთანას „ნაცმოძრაობის“ ჭანჭახში ამოთხვრილი კუდის ვითომდა გამსწორებელი ეს ორგანიზაციები?

GFK-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის კონკრეტულად რომელ შედეგზე გადაფიჩინდა დიდი იუმორის მქონე საბრალო ხარაგაულელი მელაკუდა, დაბეჯითებით ვინ იტყვის, ყველა ერთნაირად სასაცილოა, მაგრამ მაინც ვეცადოთ გარკვევას, მითუმეტეს, რომ გამოკითხვა ჯორის ტლინკივით მიყოლებით არის ჩატარებული ამ გაგანია სიცხეში პირდაპირი გამოკითხვის წესით ივნისში და 2-იდან 18 აგვისტოს ჩათვლით..

მაგალითად, კითხვაზე: შემდეგ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას? შედეგები შემდეგნაირად გადანაწილებულა:

- **გიორგი მარგველაშვილი – 10,5%**
- **დავით ბაქრაძე – 9,1%**
- **მიხეილ სააკაშვილი – 6,9%**
- **ირაკლი ალასანია – 4,5,0%**
- **პაატა ბურჭულაძე – 3,6%**
- **გიორგი კვირიკაშვილი – 3,0%**
- **ბიძინა ივანიშვილი – 2%**
- **ნინო ბურჯანაძე –2%**
- **ირაკლი ღარიბაშვილი – 1,1%**

ამ შედეგებს რომ გაიგებდა, სავარაუდოდ, თვით ზე-რეიტინგული მარგველაშვილი გახდებოდა გაოგნებისგან მოსასულიერებელი და გულყრის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ვისკის შეაშველებდნენ, არათუ მელას ასტეხოდა სიცილი... შესაბამისად, ყივილნარევი ყლოჭინი აუტყდებოდა თვით მიხეილ სააკაშვილს, ჩემს წინ ეს ორი სირბანჯო ვინ ჩაუკვეხებიათ ამ ჩემისებსო... ალასანია ბოღმიანად ჩაიღიმილებდა, ნათელაშვილი – ყბამოქცევით, მე მაინც პირველზე ვარო; ბაქრაძე თოჯინის ღიმილით დაკმაყოფილდებოდა, დანარჩენებს კი, სავარაუდოდ, არც გაუგიათ რა დაბალი რეიტინგი აქვთ.

კითხვაზე: თუ ჩათვლით, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობთ, რომელ პარტიას მისცემდით ხმა? შედეგები ასე გადანაწილდა:

- **„ქართული ოცნება“ – 25,8%**
- **„ნაციონალური მოძრაობა“ – 25,5%**
- **პაატა ბურჭულაძის პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 6,9%**
- **„ლეიბორისტული პარტია“ – 3,7%**
- **„თავისუფალი დემოკრატები“ – 2,9% და ა.შ**

ამ შედეგზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხუთი წევრი გამხდარა სიცილისგან ცუდად, რის გამოც სასრაფოდ წვეთოვანები დაუდგამთ და სტაციონარში გადაუყვანიათ პატრულის თანხლებით. გზაში კი, დაწყნარებულან და აუტეხავთ დედ-მამის სულის გინება ექიმებისთვის, არ ვართ კაიფში, GFK-ის სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე ჩავიციკლეთო, მაგრამ ვინ მოუსმინა...

პაატა ბურჭულაძეს გაოცებისგან ბანის ნაცვლად ისეთ სოპრანოზე ჩაუწუილია, ოპერის თეატრის 8-მეტრიანი „მეფე-ჭაღი“ შიშისგან 6,80 მეტრამდე შემცირებულა...

საბოლოო პარტიული რეიტინგი ასეთი შედეგით ჩამოყალიბებულა:

- **„ქართული ოცნება“ – 35, 9%**
- **„ნაციონალური მოძრაობა“ – 34,2%**
- **„სახელმწიფო ხალხისთვის“ – 9,8%**
- **„ლეიბორისტული პარტია“ – 5,4% და ა.შ**

გულწასული მელა რა სახსენებელია, როცა კვლევის ყველა კითხვაში ნულ მთელ რამდენიღაცპროცენტიანმა „რესპუბლიკური პარტიის პატრიარქმა“ ლევან ბერძენიშვილმა დედის სული დაიფიცა ტელე-კამერების წინ, „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ რეიტინგს შორის სხვაობა 0,3 % არაფრით არ და ვერ იქნებაო.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გამოკითხვის მიმდინარეობისას ახალი პოლიტ-პაპილომები, „პოლიტიკური ცენტრი გირჩი“ და „ახალი საქართველო – გიორგი ვაშაძე“ 0,5-0,5%-ით, ცალ-ცალკე სუბიექტები იყვნენ, მერეღა შეერწყნენ ბურჭულაძეს, რამაც თავის მხრივ ბურჭულაძის პარტიის ღია კარიდან მისი წევრების კისრისტეხვით გაცვევნამ გვარიანი პროცენტები ჩამოაკლო მის პარტიას და ცხადია, ვიღაცას მიამატა, ესენი კი მაინც თავისას უბერავენ აწყვეტილი „კამაზივით“.

ბევრი რომ აღარ ვიცინოთ, ამ სასაცილო კვლევას, მართლაც მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო დანიშნულება აქვს, თუმცა აღსანიშნია „ნაცების“ პოლიტმადის პროცენტული დაქვეითება. სხვაფრივ, გასაგებია მათი ოცნების პროცენტები, მაგრამ კატასავით, მაინც არ ეცემა ზურგზე დავით ბაქრაძე „ოცნებას“ რეიტინგი ჩამოეშალაო“, – აცხადებს გაქაჩლებული პარტიის „ჩანგალა“...

გამოქვეყნდა ეს სრული იდიოტიზმი და სასწრაფოდ მიეძღვნა კომენტარები, ბრიფინგები, დებატები... თუმცა, მაყურებელი ისე იყო მოხიბლული „რუსთავი-2-ის“ შეფის ვარცხნილობით, არაფერი ეყურებოდა, პიდაფჩენილი მიჩერებოდა ეკრანზე მოყურფიჩორე გვარამიას სიტყვამდინარებას...

სამ ტანცუიუტ, სამ პაიუტ, რაააა...

ასეთი რამე მხოლოდ „რუსთავი-2-ს“ ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია, შეთხზავენ ტყუილს და თავიანთივე შეთხზულ ზღაპრებზე იწყებენ დისკუსიას სერიოზული სახეებითა და შემართებით.

ვერ გაიგეს ამ მართლა ბოროტების წურბელა ყვავილებმა რომ 2003 წლის ნოემბერი აღარ დაბრუნდება; რაც უნახავთ, ის ტკბილი და მუქთა სისხლი ვეღარ დაუბრუნდებათ, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ტარკოშით ხვრეპდნენ...

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა!

გიორგი ჩხეიძე

ციკლიდან სკანდალური ინტერვიუ ოდესელ ქალბატონთან, რომელიც ოდესის ქართველი გუბერნატორის შესახებ შემაძრწუნებელ ფაქტებს გვიმხელს

დარწმუნებული ვარ, მათ აფთრის სისხლი აქვთ

ჩვენ ვერ გაგვტეხა გერმანელმა დამპყრობელმა, ვერ გაგვტეხავს ვერც ქართველი დამპყრობელი

უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის პოსტზე დავით საყვარელიძე გასულ წელს დაინიშნა და ევროინტეგრაციისა და უკრაინის პროკურატურის რეფორმირების საკითხებიც ჩააბარეს. ოდესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოლქის პროკურორად ზურაბ ადეიშვილს ნიშნავდნენ, თუმცა მოულოდნელად გადაწყდა, რომ უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე ოდესის ოლქის პროკურორობასაც შეითავსებდა. საყვარელიძეს უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარეობაზეც ქონდა პრეტენზია.

სააკაშვილი გუბერნატორის თანამდებობაზე, ლორთქიფანიძე პოლიციის შეფად, ოლქის პროკურორი საყვარელიძე. ამდენი ქართველი მაღალჩინოსნის დანიშვნას საზოგადოება როგორ შეხვდა?

განწყობა, უკიდურესად უარყოფითი იყო უმრავლესობისთვის. მხოლოდ მცირე ჯგუფი აფასებდა დადებითად ქართველი ვარიაგების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას. „პატიოსანი ყაჩაღების“ გაშიფვრა

არც ხალხს გაუჭირდა და არც უსაფრთხოების სამსახურს რომელთანაც დღემდე უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აქვთ მიშას თანამებრძოლებს. მიმდინარე წლის მარტში დავით საყვარელიძის მიერ დანიშნულმა პროკურორმა ხუთიათასი აშშ დოლარი აიღო ქრთამის სახით, იგი ფაქტზე დააკავეს უშიშროების და სამხედრო პროკურატურის თანამშრომლებმა. მიმდინარე წლის მარტში უკრაინის გენერალურმა პროკურორმა დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. მიზეზად ბოლო დროს დეპუტატების კოლექტიური მოთხოვნები იქცა, რომლის თანახმადაც საყვარელიძის თანამდებობაზე ყოფნა პროკურატურის შესახებ კანონს არ შეესაბამებოდა. აგრეთვე გენპროკურორმა, საყვარელიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა "საპროკურორო ეთიკის უხეში დარღვევის, სხვა პროკურორის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევისა და სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და არასათანადო შესრულების გამო".

გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გამწარებული ამტკიცებდა, რომ დავით საყვარელიძე მაფიასთან ბრძოლას შეეწირა. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა გამართულ ბრიფინგზე განაცახდა. მან საყვარელიძის უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილისა და ოდესის ოლქის პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებას საშიში პრეცედენტი უწოდა და პრეზიდენტს რეაგირებისკენ მოუწოდა. მიშამ განაცხადა, რომ მაფიამ გაათავისუფლა პროკურორი და ეს ძალიან საშიში, საშინელი პრეცენდენტი მიმართული გახლდათ უკრაინის მომავლის, უსაფრთხოების, მთლიანობის წინააღმდეგ. „დიდი მიხეილი“ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას კვლავაც შეეცადა და კორუფციის დასამარცხებლად ბრძოლის გაგრძელების პირობა დადო. ასევე გულის ამაჩუყებელი „სტატუსიც გამოაცხო“-

"მათ უკრაინის მტრების სასარგებლოდ ითამაშეს და მტერთან ალიანსი შეკრეს. არ ვფიქრობ, რომ საქმე შემოიფარგლება მხოლოდ ჩვენს გუნდსა და ადგილობრივ მაფიოზებთან გარჩევებით. ეს უფრო მწვავე თანაშია, ამიტომ ჩვენ არ დავთმობთ, ჩვენ არა მხოლოდ დავიცავთ თავს, არამედ ყველა ფრონტზე თავდასხმას გავაგრძელებთ. ფრონტი მხოლოდ ოდესაზე არ გადის, ფრონტი კიევზე, დნეპრზე, ლვოვზე, მთელ უკრაინაზე გადის. ხავერდოვანი კონტრრევოლუცია ვერ გაიმარჯვებს. ის, რასაც ისინი აკეთებენ მაიდნიდან 2 წლის შემდეგ, ბევრად მწვავეა. მე კარგად მახსოვს, რას აკეთებდა იანუკოვიჩი, კარგად მახსოვს წინა ეპოქები, ეს ბევრად მწვავეა თავისი ცინიზმით, მაიდნისა და ომის მსხვერპლთა ფონზე" -კიევს ცრემლების არ ჯერა, მითუმეტეს კორუფციასთან მებრძოლი, საქართველოში წამოჩიტული ელიტარული მექრთამე, ყაჩაღების. რომლებმაც მშობლიურ ქვეყანაში მიწასთან გაასწორეს ეკონომიკა, მრეწველობა, განათლება და სხვა სფეროები. ფეხქვეშ გათელეს ადამიანების ღირსება და აღნიშნული ვაი რეფორმატორები ეხლა უკრაინის, კერძოდ ოდესის ოლქის მიწასთან გასწორებას და ოდესელების დაჩმორებას ცდილობენ. ერთი ერთში ხდება ის რაც საქართველოში ცხრა წელი ხდებოდა. აღმაშფოთებელია როცა კორუფციასთან მებრძოლ რეფორმატორს სოლიდური მოპარული თანხით აეროპორტში აკავებენ და შემდეგ ათავისუფლებენ. ალბათ მიხვდით ეკა ზღულაძეს ვგულისხმობ. სწორედ სააკაშვილის ბანდის მიმართ მტრულად განწყობილი

უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის გრიცაკის განკარგულებით, დაადგინეს თანხის წარმომავლობა, რომლის შემდეგაც მას მოახსენეს, რომ აშშ-მა უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის თანხა 10 მლნ ,სხვა ინფორმაციით — 14 მლნ დოლარის ოდენობით გადასცა ქალბატონ ზღულაძესა და ავაკოვს, რომლებმაც ეს ფული, იმის ნაცვლად, რომ დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ, მიითვისეს.

თქვენი საუბრიდან გამომდინარე სააკაშვილს ოდესის ოლქში, მოწინააღმდეგე ბევრად მეტი ყავს ვიდრე მომხრე. არ გიცდიათ ცენტრალრი ხელისუფლებისთვის მოგეთხოვათ გუბერნატორის შეცვლა?

საპროტესტო აქციები სლოგანით- „გააგდეს თბილისიდან გავაგდებთ ოდესიდან“ სააკაშვილის და მისი ხროვის საწინააღმდეგოდ ხშირად იმართება. რამოდენიმე თვის წინ ორმოცი დღის განმავლობაში გროვდებოდა ხელმოწერები მისი გადადგომის მოთხოვნით. სხვადასხვა რაიონში გაშლილ კარვებში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ლორთქიფანიძე ყველა ხერხით შეეცადა ხელი შეეშალა აღნიშნული აქციისთვის თუმცა მუქარის და ზეწოლის უდანაშაულო აქტივისტების დაპატიმრების საპირწონედ, უფრო მეტი კარავი იშლებოდა, მეტი აქტივისტი ერთვებოდა აქციაში და ბევრად მეტი ხალხი მოდიოდა. ასთორმეტი ათასი ხმა შეგროვდა სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნით. გუბერნატორი აღნიშნულ აქციას ქვეყნის მტრების მიერ მართულს უწოდებდა...ერთ წელიწადში ხალხი შიმშილის ზღვარზე მიიყვანა, მისმა „კუდიანებზე ნადირობამ“ მიწასთან გაასწორა მრეწველობა თუ ეკონომიკა ჩვენ ვერ გაგვტეხა გერმანელმა დამპყრობელმა, ვერ გაგვტეხავს ვერც ქართველი დამპყრობელი. სამწუხაროდ სააკაშვილმა თავის გუნდთან ერთად მოახერხა და ქართველებსა და უკრაინელებს შორის მეგობრობის ხიდი დიდი ხნით ჩაელეწა.

ვწუხვარ, ქართველებს და უკრაინელებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. მართალი გითხრათ მე სააკაშვილის ქართველობაში არ ვარ დარწმუნებული და არც მისი ხროვის ადამიანობაში. დარწმუნებული ვარ მათ აფთრის სისხლი აქვთ, არც ეროვნება აქვთ და არც არაფერი ადამიანური...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი #15)

ლა-ბასტიდაზე საუბრისას სიტყვამ მოიტანა და — რამდენი იბერიაა?

რამდენადაც დღეისათვის ვიცით, სამი იბერიაა: კავკასიაში, პირინეიზე და ბრიტანეთში, თუმცა ამ თემაზე საუბრისას მხოლოდ კავკასიისა და პირინეის იბერიას ახსენებენ. არადა, ნისლიანი ალბიონის პირველ სახელმწიფოებრივი ტიპის გაერთიანებასაც იბერია ერქვა — Hჰიბერნია, „იბერიიდან“ ტრანსფორმირებული. იბერია — Hიბერნია — ალბიონი. ალბიონი კუნძულს დაარქვეს იქ მიგრირებულმა ხალიბებმა. ხალიბიონი — ხალბიონი — ალბიონი, ხალიბები კი, როგორც დადასტურებულად ცნობილია, ქართველური ტომები იყვნენ.

მკვლევარები კელტების წინარე ხალხად იბერიული წარმოშობის ტომს, პიქტებს მიიჩნევენ, რომელთაც უდიდესი კულტურა და ცივილიზაცია ჰქონდათ და მთიან შოტლანდიაში ცხოვრობდნენ. კელტების შემოსევის შემდეგ პიქტების შევიწროვებამ საბოლოოდ მათი ასიმილირება გამოიწვია, მოხდა არა მხოლოდ მოდგმის, არამედ რასის ჩანაცვლება, ინდო-ევროპული წარმოშობის ტომებმა, კელტებმა, გაანადგურეს პიქტების ცივილიზაცია და ბარბაროს დამპყრობლებად იქცნენ.

ისტორიული დოკუმენტები არ მოიძევება, რომ პიქტების ტომი მთლიანად ამოწყვეტილიყო. შოტლანდიელები დღესაც არჩევენ თავიანთ ერში იბერიული ტომის შენარევს და დაბალი ტანის შავგვრემან ადამიანებს (რომაელთა აღწერით, ასეთები ყოფილან პიქტები), განსხვავებით მაღალ, ქერათმიან და ცისფერთვალა კელტებისგან, ახლაც იბერიელებს უწოდებენ.

კელტების მიერ პიქტების დაპყრობა ისეთივე მოვლენაა, რაც შუამდინარეთში სემიტების შეჭრა, ან რომში ვანდალებისა და გუთების ლაშქრობა. ცნობილია, რომ ასეთი დაპყრობების დროს ბარბაროსი ტომები ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს, არ ეხებოდნენ მხოლოდ ქურუმთა ცოდნას.

კელტების მიერ ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ შეიქმნა ცალკე სასულიერო კასტა ქურუმებისა, რომელთაც უკვე დრუიდები დაერქვათ. დრუიდები, ფაქტობრივად, სრულიად განსხვავებულ ხალხს და ეთნოსს წარმოადგენდნენ. მათ მემკვიდრეებად ძველ ირლანდიაში ითვლებოდნენ „ბარდები“.

ირლანდიერი მეცნიერის, ბონვიკის თქმით, კელტებს დრუიდების სიბრძნე პიქტებისგან უნდა გადაეღოთ, ან მიეღოთ მემკვიდრეობით, ანდა, სულაც, შესაძლებელია თავად ისინი იყვნენ პიქტები. აღსანიშნავია, რომ მეცნიერი პიქტებს „დიდი ბრიტანეთის იაფედიტურ მოსახლეობას“ უწოდებს, რითიც კიდევ ერთხელ უკავშირებს მათ ქართველურ მოდგმას და მსოფლიოს სამ იბერიას ერთი მოდგმის შექმნილ სახელმწიფოებად მიიჩნევს.

მავანთა მოსაზრებით, მესამე იბერიას, დღეს რომ ირლანდია ჰქვია, თავის დროზე არა იბერია, არამედ ჰიბერნია ერქვა და ეს ლათინების შერქმეული სახელია, უბრალოდ, ხმოვნებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. „იმ მავანთ“ იქნებ ვინმემ შეატყობინოს საიდან იყვნენ თვით ლათინები? (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით წინა საუბრების დროს)

ის, რომ იაფეტიდური მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული ალბიონიც და ირლანდიაც, ხოლო კელტების ინდოევროპული ტომების შემოსევების შემდეგ უფრო ჩრდილოეთით, შოტლანდიასა და ირლანდიაში გამაგრდნენ, ეს ფაქტია და ვერავინ უარჰყოფს.

გენეტიკური კვლევების საფუძველზე ბრიტანელი მეცნიერი სტეფენ ოპენჰაიმერი თავის წიგნში „ბრიტანელთა წარმომავლობა“, თვლის, რომ თანამედროვე



ბრიტანეთის მოსახლეობა იბერიის ნახევარკუნძულიდან უნდა იყოს და რომ თვით კელტებისა და ანგლო-საქსურმა ტომებმაც კი ვერ გააქრეს ამის კვალი ბრიტანეთში.

გადავხედოთ მიტოქონდრიულ ანალიზს — აშშ-ის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (როდესაც კავკასიაში კოლხები ცხოვრობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას.

ევროპის „დი-ს“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესი ქსენი-ზანას, ანუ ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 000 წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში. მომდევნო, „ვალადა-ს“ („ვალდას“) კლანის ასაკი 17 000 წელია. ქსენი-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებშიც, რასთან გვაქვს საქმე? (ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვთქვათ)

მოტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე ამერიკელმა მეცნიერებმა, ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა რა დასკვნაც დადეს; ფარაონ თუთანჰამონის დნმ-ის დასკვნა და — მეცნიერები ერთ აზრზე შეჯერდნენ, რომ ქსენი-ზანა-დალის (კოლხური, ქართული) კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასულა და იქაც დაფუძნებულა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპელი მამაკაცების ნახევარი ფარაონ ტუტანჰამონის ნათესავი აღმოჩნდა, ზოგ ქვეყანაში კი ამ მაჩვენებელმა 70%-ს მიაღწია, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში, კავკასიაში კი, კონკრეტულად ქართველები არიან პრეტენდენტები პირველი ევროპელობისა — აკვანი ევროპული ცივილიზაციისა. დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის 50% (ინგლისსა და ესპანეთში 70%, საფრანგეთში — 60%) თუთანქამონის ნათესავი ან შთამომავალია.

2007 წელს ბრიტანელების წარმოშობასთან დაკავშირებით ოპენჰეიმერმა განაცხადა: — „ვერც ანგლოსაქსებმა და ვერც კელტებმა ვერ მოახდინეს მნიშვნელოვანი გავლენა ბრიტანეთის კუნძულების გენეტიკაზე — ბრიტანელთა წარმოშობა ძირითადად მომდინარეობს პალეოლითის დროიდან იბერთაგან. ოპენჰაიმერმა თვალსაჩინოებისა და მტკიცებულებისთვის დადო ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის გენეტიკური მონაცემები და დადასტურებულად განაცხადა, რომ ბრიტანეთის მამრობით გენეტიკურ სახეობათა უმეტესობა მომდინარეობს იბერიიდან: დაბალ საზღვრებში — 59% ვეინკენჰემში და ნორფოლქში, მაქსიმუმი — 96% ლანგენფენში, ჩრდ. უელსი და 93% ქასლერში, ირლანდია.

საშუალოდ ინგლისში მხოლოდ 30% გენეტიკური სახეობისა მომდინარეობს ჩრდ-დს ევროპიდან... ბრიტანელების 75-95% წარმოშობით იბერიიდან არიან. ირლანდია, სანაპირო უელსი, ცენტრალური და დასავლეთი სანაპირო თითქმის სრულად შედგება იბერიელ მკვიდრთაგან.“

საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი ედუარდ დემოლნისი ამბობს: — „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები იბერებს ეკავათ. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისევე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულები და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.“

უფრო მაღლა ადის ინგლისელი მეცნიერი ა. მორტონი: — „იბერიელები... გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში.“

ვიღაცას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ სურს ან არ უნდა დაიჯეროს ბევრი რამ, განსაკუთრებით, თუ საიდუმლოებებით მოცული საქართველო უძველესი კოლხური ცივილიზაციის პირდაპირ და ერთადერთ მემკვიდრედ მოიხსენიება, იმ ცივილიზაციისა, რომელმაც შემდგომში ყველა სხვა ცივილიზაცია შვა, მაგრამ ლეგენდები, მეცნიერული კვლევები სხვადასხვა მიმართულებით და შემორჩენილი თვალსაჩინო ფაქტები რასაც ამბობენ, ესაა...

ერთი ვინმე რიგითი ქართველი ხომ არ ჰყვება სიზმრად ნანახს, ან აკვიატება ხომ არ აქვს ერთ კონკრეტულ პირს (ან პირთა ჯგუფს)? მსოფლიო დონის ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი, რუსი, ინგლისელი და ა.შ მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებებს, ფაქტებს დებენ, ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა, ქართველები კი შეთქმულებივით გაყურსულან, არანაირ ინტერესს არ იჩენენ საკუთარი ისტორიის მიმართ...

ჯერ მხოლოდ რაც ჩანს, საქართველოს ისტორია ახლიდან დასაწერია, რადგან ქართველი ერის ისტორიას, დღემდე აღმოჩენილი და კვლევების დადასტურებული შედეგებით, ყველაზე მცირე, 25 000 წელი აქვს მოპარული.

(გაგრძელება იქნება)



კროსვორდი



მარჯვნივ: 1. ეგრეული მოთია სისტემა დედანინაზე ჩრდ. და აღმ. ამერიკა დას. კიდეს გასწერივ. 2. ლოლნაბის ჯიში, აქვს ნერილი ყვითელი ბაკოდი. 3. გადაქარბებული თავმოყვარეობა, პატივმოყვარეობა. 4. რესი მეცნიერი, ექიმი. ალეული ეარლრგიის ფუძემდებელი. 5. ელექტრული დენის სიძლიერის საზომი ერთეული უდრია 1000 ვატს. 6. ალალელერო სახბალეებელი. 7. სათილსა და ალეებაეია ნარეული ალაკის გასაპრალებლად. 10. „ბარსელონას" ფეხბურთელი. 16. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ქალი. 17. პერეა ფელის ერთეული. 18. მდინარე პოლონეთში. 19. ნბლეფარ ღენი, რომელიც გაგერებელია ნაბმარმ-ყოფა გაბით. 20. დიდად მეცნა, 22. ინ ნალ ი ალარი ფერისა, იალნეპა ალდა-კეპანა, ნეფალისანი ალდალეაქრი ალრალ ბანალეის. 24. „ალი ბეპალენრის" პერსონაჟი, ბალეფის დაეალეენი ბალა პერეალი ბალანგეში. 25. ნდანარე რესალეში, ალეთია ნბარეი, ერალია ბდ. ობ. 27. რესი, ამბალარალეული ეერნალი ალეინტალეის ალენალეალი გადაეენა. 29. ანალი ამბალი ეერნალალბეა ფარალეაზე. 31. ინბალალეი ალალეის ინტალი, ალბრალეალარი ბანაბალეალ. 33. ინ. ბალალალეალი ინალეალ ალალ ალბრალ ალალ.

მარცხნივ: 5. რალეენ, რომელთაც ბალალბანალი ტერორისტები ალეაბ-ბენ ირალია ალალბალბაზე. 8. რესი ალალალბენი, ალნერალ-ალალბარნალი, ეალბერნენ II ალალრალენ, ხალი ბალბერა რესალ-ალბრალეალია ხალბალეალ ბრალეენ ბრალეენს. 9. ნალალ-ალალბალრალალია ნალალარი ხალალალი, ბალალეენ ბალრალალ ალალალ. 10. ხალალ ბალრალ ქალალალ ნალენალ, ალალ-ნენ ხალბალ ბალალ. 11. ალალალ ალალალ ალ. 12. ალალ ბალ-ალ ალ. 13. ბალ ალ ალ

„როლს-როისი“ – მანქანა მდიდრებისთვის

ეს მანქანა ასზე მეტი წელია, არსებობს და ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. ამ მანქანით გადაადგილდებოდნენ მეფეები, კინოვარსკვლავები, მილიონერები. ამ ავტომობილის ისტორია 1904 წელს დაიწყო, როცა ორი ინგლისელის – ფრედერიკ ჰენრი როისისა და ჩარლზ სტიუარტ როლსის ღირსშესანიშნავი შეხვედრა შედგა. ორივე მათგანი განსაკუთრებული პიროვნება იყო.

მდიდარი, ღარიბი

ფრედერიკ ჰენრი როისმა, რომელიც 1863 წელს ღარიბ და მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა, ძალიან მკაცრი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან ადრეული ასაკიდან გამოავლინა ტექნიკისადმი ინტერესი

და ოცნებობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლაზე, მაგრამ ოჯახში ბავშვების განათლებაში დასახარჯი ფული არ მოიპოვებოდა. მაშინ 10 წლის ფრედერიკმა გადაწყვიტა, თავად ეშოვა ფული. იგი დილაადრიანად გაზეთებს არიგებდა და მერე მიდიოდა სკოლაში.

როდესაც ბიჭუნას 15 წელი შეუსრულდა, მისი მშობლები დაუღუპნენ. ფრედერიკმა სწავლა მიატოვა და რკინიგზის სადგურში მოეწყო ტელეგრაფისტად, შემდეგ კი მუდმივად იცვლიდა სამუშაო ადგილს, ერთი რამ კი მუდამ უცვლელად რჩებოდა – თავისუფალ დროს იგი დამოუკიდებლად სწავლობდა ფიზიკას, ქიმიას, შლიდა და აწყობდა სხვადასხვა მექანიზმებს.

როისს ძალიან აინტერესებდა ელექტრობა, რომელიც ნელ-ნელა შემოდიოდა ინგლისელების ყოფაში. ეს ცოდნა მას ძალიან გამოადგა ლონდონში, სადაც 19 წლის ასაკში გადაბარგდა. გენიალური თვითნასწავლი ახალგაზრდა ლონდონში დააფასეს – ელექტროფიკაციაში სპეციალისტები თითზე ჩამოსათვლელი იყო. მალე მას უკვე მყარი მდგომარეობა ეკავა ფირმა „მაქსიმ-ვესტერნ ელექტრიკში“. მოგვიანებით ერნესტ კლერმონტთან ერთად დააარსა საკუთარი საწარმო, სადაც მთავარი კონსტრუქტორი იყო. ფირმა დინამო-მანქანების შექმნით იყო დაკავებული. მოგვიანებით ახალგაზრდა სერეიოზულად დაფიქრდა ავტომობილების წარმოებაზე. იგი მუდმივად სახელოსნოში იყო, სწავლობდა სხვადასხვა მანქანებს და ახორციელებდა თავის იდეებს მათ გარდაქმნასა და გაუმჯობესებაზე.

1904 წლის მაისში ფრანგული მანქანის, „დეკოვილის“ საფუძველზე ააწყო თავისი პირველი ავტომობილი. ხმებმა ამ მოხერხებული და მსუბუქი ავტომანქანის შესახებ ახალგაზრდა მილიონერის ჩარლზ როლსის ყურამდეც მიაღწია...

როისის კომპანიონის ბედს არაფერი ჰქონდა საერთო ოდესღაც ღარიბი თვითნასწავლი ახალგაზრდის ბიოგრაფიასთან. ჩარლზი ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ არისტოკრატულ ოჯახში დაიბადა და უზარმაზარი ქონების მემკვიდრე გახლდათ, დამთავრა იტონი და კემბრიჯი. ამ ორ, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ, ადამიანს ერთი რამ აერთიანებდა – ავტომობილები და ტექნიკის სიყვარული.

პირველი მანქანა

როდესაც ჩარლზ როისმა ფრედერიკის ავტომობილი დაინახა, მაშინვე შეაფასა მექანიკოსის გამოგონება. ძრავი პრაქტიკულად უხმაუროდ მუშაობდა, მანქანა მსუბუქად, რბილად დადიოდა და იმ დროისთვის ფანტასტიკური სიჩქარის – 80 კმ/სთ განვითარება შეეძლო. როლსმა დაუფიქრებლად განაცხადა თანხმობა როისთან თანამშრომლობაზე (ფინანსური). მეწარმეებმა მიზნად დაისახეს, შეექმნათ უმაღლესი ხარიხის ბრიტანული მანქანა. ფირმის დევიზი გახდა „აბსოლუტური სრულყოფილებისკენ“ სწრაფვა.

და გაჩაღდა მუშაობა. 1904 წლის შემოდგომაზე პარიზის ავტოსალონზე წარმოდგენილი იყო ახალდაარსებული ფირმის ოთხი ახალი მოდელი, რომლებმაც მსოფლიოში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. საინტერესოა, რომ კომპანიონების მიერ შექმნილი პირველი ავტომობილი დღემდეა

შენახული. ის ერთი ბრიტანული არისტოკრატული ოჯახის საკუთრებაშია, რომელიც უარს აცხადებს ამ ლეგენდარული ეგზემპლარის გაყიდვაზე, თუმცა მის საფასურად მსურველები ასტრონომიულ თანხას სთავაზობენ. ამასთან, პირველი „როლს-როისის“ ფოტოგადაღებაც აკრძალულია. მხოლოდ ერთხელ დაუშვეს გამონაკლისი, კლასიკური ავტომობილების ენციკლოპედიის შემდგენლებს მისცეს ავტომანქანისთვის ფოტოს გადაღების უფლება.

ავტოგარბენი საწვავის ონკანის გარეშე

მაგრამ პირველი მოდელები ჯერ კიდევ არ იყო კლასიკური „როლს-როისები“. 1906 წელს წარმოდგენილი იყო ავტომობილი, რომელიც შემდგომში გააუმჯობესეს და „მსოფლიოში საუკეთესო მანქანად“ იქნა აღიარებული. მან მიიღო სახელწოდება „ვერცხლისფერი მოჩვენება“.

ეს ავტომობილი საკულტო მანქანად იქცა – თითქმის უხმაურო (ლეგენდის მიხედვით, სალონში ყველაზე ხმამაღალი ხმა საათის წიკწიკი იყო), ძრავის არნახული სიმძლავრე და საოცარი დიზაინი. კორპუსის ყველა დეტალი მოვერცხლილი იყო, ხელით პოლირებული, სალონი დამზადებული იყო ნატურალური ტყავისა და ხის ძვირფასი ჯიშებისგან.

ძვირფასი ავტომობილის არაჩვეულებრივი შესაძლებლობები წარმოდგენილი იყო საჩვენებელ ავტოგარბენზე, რომელიც 24 ათას კმ-ს შეადგენდა. ინგლისელები აღფრთოვანებით ადევნებდნენ თვალს „ვერცხლისფერ მოჩვენებას“, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. სახელგანთქმულმა მილიონერმა როკფელერმა ტელეგრამა გამოგზავნა: „გილოცავთ ავტოს ინგლისური მოდელის გამარჯვებას. გთხოვთ მაცნობოთ, იყო თუ არა გაუმართაობა გადარბენის დროს“.

„როლს-როისის“ დამაარსებლების პასუხი ასეთი გახლდათ: „გაუმართაობა იყო. მწყობრიდან გამოვიდა საწვავის ონკანი, რომლის ფასი 2 ფუნტი, 2 შილინგი და 7 პენსია“. მანქანა, გამორჩეული დიზაინის გარდა, არაჩვეულებრივი სიმტკიცითაც გამოირჩეოდა – სხვა მონაწილეებს სერიოზული შეკეთება სჭირდებოდათ, ინგლისური ავტომობილი კი ისეთივე იყო, როგორც გადარბენის დასაწყისში. ეს გადარბენა ფირმის საუკეთესო რეკლამა გახდა და მალე როკფელერმა თავისთვის „როლს-როისის“ მოდელი შეუკვეთა.

მფრინავი ფიგურა

ამ ავტომობილის სიმბოლოა კაპოტზე დამაგრებული ცნობილი ფიგურა. 1909 წელს „როლს-როისი“ სერ ჯონ მონტეგიუ ლორდ ბელიუმ შეიძინა. მისი თხოვნით სკულპტორმა ჩარლზ სლაიკსმა ლორდის მდივნის და საყვარლის ელეონორა ტორტონის გამოსახულება შექმნა, რომელსაც სამოსი უფრიალებს.

ამ სიმბოლომ დაამშვენა ავტომანქანის კაპოტი და იმდენად მოეწონა ყველას, რომ მალე „როლს-როისის“ საფირმო ნიშანი გახდა. ახლა მას სუფთა ოქროსგან ან ვერცხლისგან ამზადებენ.

ემბლემა „ღღ“ კი, ლეგენდის მიხედვით, ჰენრი როისმა რესტორანში ნახა ასეთი მონოგრამა სუფრაზე და შესთავაზა კომპანიონს. თავიდან ეს ემბლემა წითელი ფერის იყო, მაგრამ 1910 წელს მოხდა ტრაგედია – ჩარლზ როლსი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ტრაურის ნიშნად წითელი მონოგრამა სამუდამოდ შავად შეიღება...

„როლს-როისის“ წარმომადგენლობა ფირმის დაარსებისთანავე გაიხსნა რუსეთში. 1913 წელს „როლს-როისი“ შეუკვეთა ნიკოლოზ II-ემ.

საბჭოთა კავშირში ეს მანქანა ჰქონდა სტალინს, კიროვს, ტროცკის, ბერიას, ბრეჟნევს...

„როლს-როისი“ იყო ძლიერთა ამა ქვეყნისა საყვარელი ავტომობილი – ინგლისის დედოფლისა, აშშ-ის პრეზიდენტებისა...

„როლს-როისის“ მფლობელები იყვნენ ვივიენ ლი, ჩარლი ჩაპლინი, მარლენ დიტრიხი, გრეტა გარბო, ელვის პრესლი, ელიზაბეტ ტეილორი და ბევრი სხვა ვარსკვლავი...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com